# დროშა

№ 6 ივნისი 1953

619
1953 /2

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ხიდისთავის (ჩოხატაურის რაიონი) სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეები ლიანა ასათიანი და სპარტაკ მელიმონაძე ფიზიკის ლაბორატორიაში.

ფოტო მ. მიხაილოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (23) ივნისი 1953 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი"

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მწვერვალებისკენ!

ფოტოეტიუდი ვ. ჯეირანოვისა

გარეკანის
პირველ გვერდზე:
„ხესხიების შემდეგ".
ნახატი რ. სტურუასი

მეოთხე გვერდზე:
თბილისის ზოოპარკში.
ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა

ჩანართზე
თ. აბაკელიას ნამუშევრები.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი



# საით მიდიან გზები

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდიონ ქორქია

გზა, რომელიც იწყება ფოთის გარეუბან ნაბადაში და მიემართება ცხაკაიასკენ, რკინიგზის გასწვრივ, ფართოა და სწორი. ორივე მხარეს ხეები აქვს ჩამწკრივებული: თეთრი ხე, დაფნა, ნაძვი, ჭადარი, ევკალიპტი. გზა ხეივანსა გავს. ორივე მხარეს მოჩანს ახალი სოფლები, ევკალიპტის ტევრები, საკოლმეურნეო მინდვრები, ციტრუსების ბაღები... მანქანები მიმოჰქრიან ფოთისკენ, ფოთიდან.

ვინც პირველად ჩამოდის კოლხიდაში გულდამშვიდებით გაივლის ამ გზაზე. თუ აინტერესებს ამ მხარეში მოპოვებული მიღწევების დათვალიერება, სხვაგან დაიწყებს მიღწევათა ძებნას. ჩემთვის კი თვითონ ეს გზაა უდიდესი მიღწევა, რადგან მე მახსოვს თუ რა იყო აქ, სანამ ეს გზა გაჩნდებოდა.

აქ იყო გაუვალი ჭაობი, ხოლო ჭაობში იდგა ეკალბარდებით დახლართული უსიერი ტყე. ჭაობის წყალს გასაქანი არ ჰქონდა, იდგა და ლპებოდა. დამპალ წყალში ხარობდნენ ჭილი, ლაქაში, ხაია, და ფუსფუსებდნენ ბაყაყები. ზაფხულობით, მზე რომ დააჭერდა, აშმორდებოდა ჭაობი. შიგადაშიგ ტყეში მაღლობებიც იყო და ძველი ხალხის რწმენით იმ მაღლობებზე ცხოვრობდნენ ალი და ჭინკა, ოჩო-კოჩი და მესეფი.

საუკუნეობით ალრჩობდა ჭაობი მიწას და სიცოცხლეს უშხამავდა ადამიანს. ასე იყო უხსოვარ დროიდან.

მაგრამ დადგა საბჭოთა ეპოქა და მოვიდა ჭაობის აღსასრულიც. საბჭოთა ადამიანებმა დაამარცხეს ჭაობი და შექმნეს ახალი მიწა. იცვალა ფერი კოლხიდამ. იქ, სადაც ადამიანის ფეხი არასოდეს დადგმულა, მანქანა მისრიალებს.

მანქანა ჩერდება ლიმმანტრესტის ჭალადიდის საბჭოთა მეურნეობაში.

მეურნეობას, რომელიც გაშენებულია რკინიგზასა და რიონს შუა, ნაჭაობარზე 200 ჰექტარი უჭირავს; 12 ჰექტარზე დარგულია ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი; 40 ჰექტარზე ხურმა; 3 ჰექტარზე მეტი უჭირავს ბამბუკს; სადედე ტრიფოლიატს — 1½ ჰექტარი. ფეიხოას — 1 ჰექტარი; ციტრუსების სანერგეს — 12 ჰექტარი; ჭადრისა, ჩინარისა და ვერხვის სანერგეს — 12 ჰექტარი.

აქაურებს უხარიათ, რომ ამ მეურნეობიდან სოფლელებს ნერგები მიაქვთ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე გასახარებლად. კოლმეურნეობებს ხომ მიაქვთ და მიაქვთ, მაგრამ როცა მეურნეობის დირექტორმა ნოე თოდრაძემ გვითხრა, ჭალადიდის სანერგიდან რუსთავს 8.000 ძირი ჭადარი გავუგზავნეთო, ჩვენ კოლხიდელებმა, სიამაყით გადავხედეთ ერთმანეთს: კოლხური ჭადარი მცხუნვარე რუსთავის მიწაზე კოლხიდის ჩრდილს ჩაიტანს. ეს ჭადრები ახალ, საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილ მიწაზეა აღმოცენებული და რუსთავიც ხომ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაცოცხლდა...

იქვე ჩაის საცდელი მეურნეობაა. მეურნეობას 274 ჰექტარი უჭირავს. ეს მეურნეობაც შემოვიარეთ, აქ აწარმოებენ ცდებს იხარებს თუ არა ჩაი ნაჭაობარზე? ჩაი უკვე აჭოსულია, ორი გოჯის სიმაღლისაა, და უკვე ეტყობა, რომ იხარებს.

* * *

გზა ახალ დასახლებაზე გადის. ეს სოფელი იმ დროს გაშენდა, როცა ჭაობი შრებოდა. სოფელი პატარა ფოთი ძველი ადგილიდან რიონმა აჰყარა. მოსახლეები სიცილით იგონებენ: როცა ოდასახლის საძირკველს ვაგებდით, ეზოში თევზს ვიჭერდით... სულ პირველად 33 კომლი დასახლდა აქ. ამჟამად 250 კომლამდე გაიზარდა სოფელი.

პატარა ფოთი შეძლებული და ლამაზი სოფელია. ყოველ ეზოში ციტრუსები, ხეხილი, ოდასახლები. სოფელს აქვს რვაწლედი, სამკითხველო, კოოპერატივი, მედპუნქტი, ფოსტა...

ახლა ამ სოფელში ყველა ბავშვი სკოლაში დადის. ბევრია უმაღლესი განათლებითაც. და სადაც წინათ ალი და ჭინკა აფრთხობდა გლეხს, მანქანები მიმოქრიან და დამკვიდრებულა ახალი ცხოვრება.

გზა ყორათზე გადის. მაღალი, ფართო, პირდაპირი გზა. ორივე მხარეს არხება ჩაუდის. ორივე მხარეს ახალი დასახლება, ციტრუსები, საკოლმეურნეო მინდვრები. მიმოქრიან მანქანები. ამ გზას, რომელიც ფოთის რაიონიდან ხობში გაივლის, ხოლო შემდეგ ზუგდიდისკენ მიემართება, დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ამ გზას თავისი ისტორია აქვს. აქ, ჭაობიან ტყეში, მგლის ბილიკი გადიოდა, რომელიც ორ დიდ სოფელს — ხორგასა და ჭალადიდს აერთებდა. ტყიდან ჩიტი ჯურკანტელს ვერ გამოიტანდა. ქალები იწყევლებოდნენ: „შენ კი დაგსვა ყორათშიო".

ახლა კი ყორათში ახალი ცხოვრება დუღს და უძიროებითაც რომ გაიაროთ ყორათის გზაზე ფეხი არ დაგისველდებათ.

* * *

რიონის მარჯვენა ნაპირას, ჭალადიდში, ათეული კილომეტრის მანძილზე, მაღალი დამბაა გაშენებული. ეს დამბა რამდენიმე სოფელს იცავს წყალდიდობისაგან. წყალდიდობა კი ყოველწლიურად იცის რიონმა. მოვარდნილ წყალს ვერ იტევდა რიონის კალაპოტი. გარდა ამისა, ფოთიდან 7 კილომეტრზე რიონი აკეთებდა დიდ მარყუჟს; აქ გუბდებოდა ადიდებული მდინარე, გადმოდიოდა ნაპირებზე და ფარავდა უზარმაზარ ტერიტორიას. „კოლხიდმშენმა" გაჭრა მარყუჟი, შეუერთა მდინარე ნაბადას და რიონი პირდაპირ წავიდა ზღვაში. წინათ წყალდიდობა უდიდესი უბედურება იყო. იგი წალეკავდა ნათესებს, აჭაობებდა მიწას, ღუპავდა პირუტყვს, აუბედურებდა ხალხს. ადამიანი უძლური იყო სტიქიონის წინაშე. ახლა დამარცხებულია რიონის სტიქიონი. დამარცხებულია დამბით, ახალი კალაპოტით, უამრავი არხებით. და განა მარტო წყალდიდობა დაამარცხეს კოლხიდელებმა!.. კოლხიდაში 160 დღე წვიმიანია. ამის გამო უამრავი ნალექი გროვდებოდა ნიადაგზე და რადგან კოლხიდის დაბლობს დამრეცობა არა აქვს, აჭაობებდა მას, ალრჩობდა მიწას, შხამავდა ჰაერს. ტყუილად როდი წერდა ბერძენი ჰიპოკრატე ჯერ კიდევ V საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე: „კოლხიდაში მოშხამული და ნესტიანი ჰაერია. ტყე უღრანი, ჭაობები გაუვალი... ხალხი ხმარობს წვიმის წყალს, რომელიც თბილია და აყროლებული. მცხოვრებთ ყვითელი და მწვანე ფერი აქვთ".

რასაკვირველია, ეს შეფასება გადაჭარბებულია, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ

„კოლხიდმშენის" საუკეთესო მეექსკავატორე მ. ნ. ალანია





„კოლხიდმშენის“ მიწისმწოვი მანქანა მუშაობის დროს.



ამოშრობილ ადგილებში წარმოებს ამოძირკვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაობებმა ჩვენს დრომდე მოატანეს, ყვითელი ფერისა და ცუდი წყლის მოწმენი ჩვენი თაობაც ყოფილა...

ახლა კი გაშრა კოლხიდის მიწა, გაიწმინდა ჰაერი, იკლო ნესტმა და გაუვალი ჭაობებისა და ულრანი ტყეების ადგილას ახალი კულტურები მკვიდრდება. 40.000 ჰექტარი ჭაობი დააშრო „კოლხიდმშენმა“ და გადასცა ხალხს. „კოლხიდმშენის“ ხელმძღვანელი ინჟინერი ლევან კიკნაძე სიამაყის გრძნობით მოგვითხრობთ, რომ ამოშრობილი მიწის 4.000 ჰექტარი გამოყენებულია საკარმიდამოდ, 12.500 ჰექტარი — ერთწლიანი კულტურებისათვის, 1.000 ჰექტარი მრავალწლიანი კულტურებისათვის, ხოლო 17.500 ჰექტარი გეგმიანი დამუშავების მოლოდინში მზეს ეფიცხება. გარდა ამისა 3.500 ჰექტარი საგანგებოდაა გამოყოფილი ჩაის კულტურის გასაშენებლად ხობის, ცხაკაიას, აბაშის და გეგეჭკორის რაიონებში ასე იცვალა ფერი კოლხიდის მიწამ.

განა მარტო კოლხიდის მიწამ იცვალა ფერი. თვითონ ადამიანმა იცვალა ფერი. აქ იშვიათად ნახავთ ახლა ციებისაგან გაყვითლებულ ადამიანს. ფოთის სამალარიო სადგურის უფროსის ექიმ ილარიონ ცომაიას ცნობით, ძველ კოლხიდაში 100 კაცზე 83 ციებიანი იყო. ამჟამად ციებით პირველადი დაავადება 7-მდე ჩამოვიდა. მარტო რიონის გადაგდების ადგილიდან მალთაყვამდე დარგულ იქნება 100.000 ძირი ვერხვი, ჭადარი, ნეკერჩხალი. საბჭოთა ადამიანები ახალ ბუნებას ქმნიან. ქმნიან ქარსაცავ ზონებს, ახალ პეიზაჟებს. უყვართ კოლხიდელებს თავისი ხელით შექმნილი ახალი კოლხიდა.

კოლხიდელებმა ამ წელს ჭაობის დაშრობის მეორე რიგის სამუშაოები დაიწყეს. კიდევ ცოტა და ფიჩორ-პალიასტომის ნაპირებზე გასრიალდებიან ჩაითა და ციტრუსებით დატვირთული მანქანები.

ასე წარმომიდგენია: ახალი კოლხიდის ყველა გზები ფოთიდან მეზობელ რაიონებისაკენ როდი მიდიან, არამედ მიდიან უფრო შორს...

ისინი მიდიან წარმტაცი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ...

კოლხიდა. ახალდასახლებული სოფელი.



# საქართველოს წყლის რესურსები

**პ. შენგელია**

**საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი**

საქართველოში განსაკუთრებით კარგი პირობებია წყლის რესურსების და მით უმეტეს წყლის ენერგიის დაუშრეტელი წყაროების ასათვისებლად. ჩვენს მდინარეებს 110 მილიარდზე მეტი კილოვატსაათის ენერგიის მოცემა შეუძლია ყოველწლიურად.

წყლის ენერგიის ასეთ დიდ თავმოყრას ხელს უწყობს მთაგორიანი რელიეფი და ატმოსფერული ნალექების სიდიდე. თუ რა გავლენა აქვს რელიეფს და ნალექების სიდიდეს წყლის ენერგიის რესურსებზე, ეს ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითით. საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორია კავკასიის ჩაუთვლელად დაახლოებით 50-ჯერ აღემატება საქართველოს ტერიტორიას, იმ დროს, როდესაც ამავე ტერიტორიის წყლის რესურსები მხოლოდ ორჯერ აღემატება საქართველოს წყლის ენერგიის რესურსებს. სხვანაირად რომ ვთქვათ საქართველოში საშუალოდ თვითეულ კვადრატულ კილომეტრზე წყლის ენერგიის რაოდენობა 25-ჯერ მეტია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე.

მაგრამ წყლის ენერგიის მარაგი ერთნაირად როდია განაწილებული საქართველოს ტერიტორიაზე. მთელი მარაგის დაახლოებით სამი მეოთხედი დასავლეთ საქართველოზე მოდის, სადაც მდინარეთა წყლის ხარჯი მეტ ცვალებადობას განიცდის, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. აღსანიშნავია ისიც, რომ წლის განმავლობაში წყლის ხარჯის ცვალებადობა შავი ზღვის სანაპიროს მდინარეებსა და აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებს შორის ერთნაირად არ ხდება. მაგალითად, ზამთრის თვეებში, როცა აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებს წყლის მცირე ხარჯი აქვთ, შავი ზღვის ზონაში მდებარე მდინარეებს შედარებით დიდი ხარჯი ახასიათებთ.

საქართველოს ამ ორი მხარის მდინარეთა რეჟიმს შორის არსებული ბუნებრივი განსხვავება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ორივე ზონაში ჰიდროელექტროსადგურების ერთდროულად მშენებლობისათვის, მათი მუშაობის ბუნებრივი რეგულაციისათვის. მაგრამ მარტო ამაზე არ არის დამოკიდებული საქართველოს ენერგოსისტემის რეგულაცია. წყლის ენერგიის დიდი რაოდენობით გამოყენების დროს წყლის ხარჯის მოსაწესრიგებლად საჭიროა ბუნებრივი ტბების მაქსიმალურად გამოყენება და მთელი რიგი ხელოვნური წყალსაცავების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰიდროელსადგურთა ნაკლები ცვალებადობით მუშაობას, როგორც წლის, ისე დღეღამის განმავლობაში.

საქართველოს ენერგოსისტემა, რომლის შემადგენლობაში ბევრი სეზონური ჰიდროელსადგურია, მოითხოვს აგრეთვე ეგრეთ წოდებული ჰიდროაკუმულატორების აგებას. ეს ისეთი დანადგრებია, რომლებშიც ერთ და იმავე ღერძზეა მოთავსებული ჰიდროტურბინა და წყლის საქაჩავი ტუმბო. როდესაც ენერგოსისტემაში, მაგალითად, წყალდიდობისა ან ნაკლები დატვირთვის დროს, ჭარბი ენერგიაა და საჭირო ხდება სეზონურ ჰიდროელსადგურებში წყლის უსარგებლოდ დაღვრა, ეს ენერგია მოძრაობაში მოიყვანს ტუმბოს, რომელიც მილსადენის საშუალებით წყალს აქაჩავს მაღლა მოთავსებულ ბუნებრივ ან ხელოვნურ აუზში დასაგროვებლად. ამ შემთხვევაში ჰიდროაკუმულატორი იმუშავებს სატუმბო დანადგარით აუზში წყლის დასაგროვებლად. ენერგოსისტემაში დატვირთვის მომატების დროს, როდესაც მდინარეებში წყლის ნაკლებობაა, აუზში დაგროვებული წყალი იმავე მილსადენით ძირს დაეშვება, გაივლის ტურბინებში და დანადგარი იმუშავებს, როგორც ჰიდროელსადგური, რომელსაც დიდი სიმძლავრის განვითარება შეეძლება. ამრიგად ჰიდროაკუმულატორების საშუალებით სეზონური ენერგიის ნაცვლად მარეგულირებელი ენერგიის მიღება შეიძლება.

უახლოეს პერიოდში, ჰიდროენერგეტიკის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რიონისა და ხრამ-ფარავნის სისტემას. პირველი აღსანიშნავია, როგორც დარეგულირებული, ხოლო მეორე, — როგორც მარეგულირებელი ენერგიის მძლავრი წყარო. ამ მდინარეებზე მძლავრი ელსადგურების გეგმაშეწონილად აგება ხელს შეუწყობს ჩვენი სახალხო მეურნეობის ენერგეტიული ბაზის კიდევ უფრო მეტად გაზრდას და განმტკიცებას. საგულისხმოა, რომ ხრამის, ალაზნის, იორის და სხვა მდინარეთა გამოყენების დროს ერთდროულად წყდება როგორც ენერგეტიკული, ისე მელიორაციული საკითხები. მდინარე რიონისა და მტკვრის გამოყენება დაკავშირებულია აგრეთვე მელიორაციასთან, ქალაქების კეთილმოწყობისა და ნაოსნობის საკითხთან. გათვალისწინებულია დიდი საგემთსავლო არხის გაყვანა რიონის ბოლო უბანში, რომელიც საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრს ქალაქ ქუთაისს სანაოსნო მაგისტრალით დააკავშირებს შავ ზღვასთან. მდ. ალაზნის კომპლექსური გამოყენება საშუალებას იძლევა ჰიდროენერგიის მიღების გარდა, შეიქმნას უდიდესი სარწყავი სისტემა, რომელიც მორწყავს და წყლით მოამარაგებს აღმოსავლეთ საქართველოს ნაყოფიერ მიწებს.

***

სოფლის მეურნეობის სწრაფად განვითარებისა და სოციალისტური სოფლების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, მატულობს მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე სოფლად. საქართველოში ელექტროფიცირებულია თითქმის ყველა სამანქანო-სატრაქტორო სადგური, ძლიერდება ელექტროფიცირებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საინკუბაციო სადგურების, წისქვილებისა და სახერხი ქარხნების რიცხვი.

ელექტრობა ღრმად იჭრება საკოლმეურნეო წარმოებაში და კოლმეურნეთა ყოფა-ცხოვრებაში. ადამიანის ფიზიკურ შრომას თანდათანობით ცვლიან ელექტროფიცირებული მანქანები შრომისტევად პროცესებში. ამჟამად ჩვენში 200-ზე მეტი სასოფლო ჰიდროელსადგურია, მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. საჭიროა მთელი რიგი ახალი სასოფლო ჰიდროელსადგურების აგება სოფლის მეურნეობის სრული ელექტროფიკაციისათვის საქართველოში.

საქართველოს ენერგეტიკის ინსტიტუტმა შეადგინა სოფლის ელექტროფიკაციისათვის ადგილობრივი ენერგეტიული რესურსების გამოყენების სქემა. შესწავლილია მთელი რიგი მდინარეები მათზე სასოფლო ჰიდროელსადგურების აგების თვალსაზრისით, გამოთვლილია სოფლის ყველა მომხმარებლების მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე უახლოეს ხუთწლედებში, შედგენილია ჰიდროელსადგურების მშენებლობისა და მომხმარებლებისადმი მაღალი ძაბვის ხაზებით ენერგიის მიწოდების სქემა.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ელექტროფიკაციას და მორწყვის საქმეს. ჯერ კიდევ 1921 წელს კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტებისადმი მოწერილ ცნობილ წერილში იგი სწერდა: „ერთბაშად უნდა შევეცადოთ გააუმჯობესოთ გლეხობის მდგომარეობა და შეუდგეთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდ სამუშაოებს“.

ლენინის ეს მითითება დიდი წარმატებით ხორციელდება დღეს საბჭოთა საქართველოში.

საქართველოს ელექტროფიკაციის პირმშო — ზაჰესი. საერთო ხედი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერტოლდ ბრეხტი

# ჩემს თანამემამულეებს

თქვენ, ვინც დანგრეულ ქალაქებში
სიკვდილს გადარჩით,
გონს მოდით, ძმებო, თქვენი თავი
თქვენ შეიბრალეთ.
ცოცხლად დამარხვას ვინც გადარჩით,
ცეცხლად იქმარეთ
მძიმე ჭრილობა, მიღებული ომის ხანძარში.
მე თქვენ მოგმართავთ — თქვენი თავი
თქვენ შეიბრალეთ!

მამაკაცებო, ხიშტის ნაცვლად აიღეთ ქაფჩა!
გახსოვდეთ, ფერფლად გექცათ თქვენი ნაამაგარი,
რადგანაც დროზე ვერ შენიშნეთ ომის ხანძარი.
დადექით მათთან, ვინც მშვიდობის დროშის ქვეშ
დარჩა.
მე თქვენ მოგმართავთ: ხიშტის ნაცვლად აიღეთ
ქაფჩა!

ბავშვებო, სთხოვეთ, შეგიბრალონ თქვენმა
მშობლებმა —
სიცოცხლის გზაზე წაგიყვანონ, მშვიდობის გზაზე,
უთხარით მათ, რომ ნანგრევებზე არ გსურთ
ცხოვრება!
დე, ძგერდეს გული, თქვენი გული, სიცოცხლით
სავსე.
ბავშვებო, დაე შეგიბრალონ თქვენმა მშობლებმა.

დედებო, თქვენი წმინდა ვალი, თქვენი ღირსება
თქვენ მოგიწოდებთ აგვარიდოთ ომი წყეული.
მე თქვენ მოგმართავთ: დე, იცოცხლონ თქვენმა
შვილებმა,
მხოლოდ სიცოცხლით იყონ თქვენგან დავალებული!
მზეს ნუ წაართმევთ, დე, იცოცხლონ თქვენმა
შვილებმა!

თარგმნა გერმანულიდან
**აკაკი ჭკადუამ**

# საბავშვო ბაღი

**შოთა აკობია**

მოლზე მტრედები ჩანან გუნდებად,
დინჯად დადიან ბავშვების გვერდით,
ასე ბავშვი რომ აღუღუნდება,
მგონია მღერის ათასი მტრედი.

და მაგონდება: ეს ბაღი მზრდიდა,
გულს ჩამიტოვა უქრობი სითბოთ;
ახლაც, ბავშვების წკრიალა ხმითა
ჩემი ბავშვობა მესმის თითქოს.

მოლი დატოვა მტრედთაგან ერთმა,
მხარზე დააჯდა ქოჩორა ყმაწვილს.
და ასე მჯერა — მშვიდობის მტრედმა
ძმობა შეჰფიცა მომავალ არწივს!

კრემლს უმღერიან, ბავშვების ხმაში
მოჩანს სათავე რწმენის და ფიცის,
ბანს გუგუნებენ ველებიც მაშინ,
თითქოს ველებმაც სიმღერა იცის.

ბანს მოსძახიან სვეტი და თაღი,
ჩუქურთმაც სვეტზე გამოყვანილი.
მახარებს ჩემი საბავშვო ბაღი —
უსაზღვრო ბაღის ერთი ყვავილი.

# სამკურნალო მცენარეები

**პ. სახეჩიძე**

ქობულეთის სადგურიდან კრიალა, მოასფალტებული გზა მიემართება ჩაითა და ციტრუსებით განთქმულ სოფელ ხეცუბნისაკენ. მარცხნივ, რკინიგზის გადასასვლელთან, აღმართულია ორსართულიანი სახლი, რომელზეც მოჩანს მარმარილოს დაფა წარწერით: „სამკურნალო მცენარეთა საკავშირო საკვლევი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური სადგური".

სადგურის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა თორმეტი წლის გულმოდგინე მუშაობის შედეგად აითვისა და გამოიყვანა ათობით სამკურნალო და არომატიანი მცენარე, რომელიც წარმატებით ინერგება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს „გლავლეკტექპრომის" ქობულეთის სამკურნალო მცენარეების საბჭოთა მეურნეობაში.

გამოჩენილმა საბჭოთა ოფტოლმოლოგმა აკადემიკოსმა პ. ფილატოვმა დაადგინა, რომ ალოე უძვირფასესი ნედლეულია ბიოგენური პრეპარატების დასამზადებლად. იგი გამოიყენება ადამიანის ქსოვილების შესახორცებლად და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის სამკურნალოდ.

საბჭოთა აგრონომებისა და პრაქტიკოს მებაღეთა წინაშე წამოიჭრა ამოცანა, რათა გამოენახათ ალოეს სწრაფი გამრავლების მეთოდი. ამ ამოცანის შესრულება იკისრა გამოცდილმა მებაღემ საბა ხუხუნაიშვილმა, მან ალოეს ფოთლების წვეროების დაფესვიანებას მიაღწია.

ცდების შედეგად გასულ წელს თვითეულ მრავალღეროიან მცენარიდან მიღებულია ოთხი-ხუთი კილოგრამი მასა, ხოლო „გლავლეკტექპრომის" ქობულეთის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ეს ძვირფასი კულტურა სამ ჰექტარზე გააშენა და გასულ წელს თბილისის ფარმაკოქიმიურ ქარხანას ექვს ტონამდე ნედლეული გაუგზავნა.

საბა ხუხუნაიშვილმა აგრეთვე გამონახა ზღვის ხახვის სწრაფი გამრავლების ახალი მეთოდი. ეს მეთოდი მცენარის სწრაფად გამრავლების საშუალებას იძლევა და ორჯერ ამცირებს ნერგის გამოყვანის ვადას.

* * *

ქინაქინის მსოფლიო მონოპოლიას მრავალ წელს ფლობდნენ ჰოლანდიელი ფაბრიკანტები. მათ ქინაქინის ხეების ვრცელი პლანტაციები გააშენეს კუნძულ იავაზე. რუსეთში ქინაქინის ხეების გაშენება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იყო განზრახული. ქინაქინის ხის თესლი თითქმის ყოველწლიურად შემოჰქონდათ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. ახალგაზრდა ნერგები იღუპებოდნენ მკაცრი ყინვების გამო. ქინაქინის ხე ვერ აღზარდეს ვერც კალიფორნიის თბილ ადგილებში.

საბჭოთა მეცნიერებმა მიზნად დაისახეს ამ ტროპიკული კულტურის ადგილობრივ პირობებში ათვისება. ეს დიდი და სერიოზული პრობლემა გადასჭრა მიჩურინულმა აგრობიოლოგიურმა მეცნიერებამ. გადაწყვეტილ იქნა ამ ძვირფასი კულტურის მოშენება საქართველოში, კერძოდ ქობულეთში.

წლების განმავლობაში ხდებოდა ქინაქინის ხის შესწავლა. ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფმა სელექციონერ მიხეილ მოლოდოჟნიკოვის ხელმძღვანელობით იპოვა საქართველოს რაიონებში ამ კულტურის ათვისების გზა.

ახალ პირობებთან შეგუებული დაბალი ქინაქინის ხის ქიმიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ქინაქინის ალკოლოიდები იმყოფება არა მარტო ძველი ხის ფესვებში, არამედ ახალგაზრდა ხის ღეროში, ფესვში და ფოთლებში. ამ მცენარისგან მიღებულ ქინაქინის საბჭოთა პრეპარატს აქვს მაღალი სამკურნალო თვისებები და წარმატებით გამოიყენება ტროპიკული მალარიის სამკურნალოდაც. სამეცნიერო კვლევითი მუშაობის დადებითმა შედეგებმა მეცნიერი მუშაკები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ქინაქინის ხე აღეზარდათ ერთწლიან მცენარედ.

ახალი ძირითადი საშუალება ქინაქინის კულტურის ვეგეტატური გამრავლებისა ეკუთვნის ამ სადგურის მუშაკს, ბიოლოგიური მეცნიერების კანდიდატს პ. კიბალჩიჩს.

ამგვარად საბჭოთა მეცნიერი მუშაკების დაუცხრომელი მუშაობის შედეგად შეიქმნა მთელ საბჭოთა კავშირში ქინაქინის ხის ერთადერთი პლანტაცია.

ზონალური სადგურის მეცნიერ მუშაკთა მიერ შესწავლილი და გამოყვანილია აგრეთვე თირკმელის ჩაი, რომლის სამშობლოდ ინდონეზია ითვლება.



მცენარეთა დაცვის ლაბორანტი თინა კალანდაძე ამოწმებს ქინაქინის ერთწლიან მცენარეს.

თირკმლების ჩაისაგან მიღებული სამკურნალო პრეპარატი საუკეთესო საშუალებაა თირკმლებით ავადმყოფთა სამკურნალოდ.

სამკურნალო ჩაის ბუჩქების ნაყოფის კლინიკურმა გამოცდამ უაღრესად კარგი შედეგი მოგვცა.

ახლა სსრ კავშირის „გლავლეკტექპრომის" ქობულეთის საბჭოთა მეურნეობაში ორნახევარ ჰექტარზეა გაშენებული თირკმლების ჩაის პლანტაცია, რომელმაც 1952 წელს მოგვცა პირველი 551 კილოგრამი ნედლეული.

მარტო გასულ წელს ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მრეწველობას ჩააბარა ორმოც ტონაზე მეტი სხვადასხვა სახის ძვირფასი მასალა სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად.

სამეცნიერო სადგურის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი ახლა ინტენსიურად სწავლობს 300-მდე სამკურნალო მცენარეს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ახლო მომავალში დაინერგება.

სამკურნალო მცენარეთა სადგურის უფროსი მებაღე საბა ხუხუნაიშვილი და ბოტანიკის განყოფილების ლაბორანტი სოფიო კუციკი ამოწმებენ ალოეს მცენარეს.

ფოტო კ. საბახტარიშვილისა



# პირველი სანიმუშო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტი ი. ნათიძისა
ფოტო ვ. ჯეირანოვისა



სკოლამდელი აღზრდის საქმეს დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგნად იგი საბჭოთა სინამდვილეში იქცა. პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ ბავშვთა კომუნისტურად აღზრდას. საბავშვო ბაღს ამ აღზრდის სისტემაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბავშვი პატარაობიდანვე ეჩვევა ორგანიზებულ ცხოვრებას, კოლექტივთან ურთიერთობას, საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელ ჩვევებს.

საბავშვო ბაღების ქსელი ფართოდ არის გაშლილი ჩვენს რესპუბლიკაში. თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი საბავშვო ბაღი ერთ-ერთი მოწინავეა. მას ოცდაათ წელზე მეტი ისტორია აქვს. ახლა იგი ახალ, ლამაზ შენობაშია მოთავსებული.

ბავშვის ყოველმხრივი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბუნების გაცნობას. საბავშვო ბაღში ყოველდღიურად ეცნობიან ბავშვები ბუნების მოვლენებს; აკვირდებიან მცენარეების ზრდა-განვითარებას — ხან ბაღში, ხან ოთახში. მათ ხომ ცოცხალი ბუნების კარგი კუთხე აქვთ. თავს ევლებიან მცენარეებს პატარა ბავშვები; რწყავენ, მიწას აფხვიერებენ. ამით ისინი შრომასაც ეჩვევიან.





როცა პატარა მანანა საბავშვო ბაღში მოიყვანეს, არავის ეკარებოდა: „მე ყველას ვჯობივარო“ ფიქრობდა. მაგრამ თანდათანობით ჩაერია იგი ბავშვთა საზოგადოებაში, კოლექტივმა მასზე გავლენა მოახდინა.

ახლა მას მრავალი მეგობარი ჰყავს, მათთან ერთად თამაშობს, მათთან ერთად ხატავს ფერად სურათებს, მათ უზიარებს თავის „გულის ნადებს“.

ტკბილად სძინავთ პატარა „ონავრებს“. ეს მათი დასვენების საათია. როგორი მშობლიური მზრუნველობით დასტრიალებს თავს მძინართ გამოცდილი აღმზრდელი პელაგია ქუჩუკაშვილი. დეიდა პელოს ეძახიან მას ბავშვები.

თავის დროზე უნდა სჭამონ საჭმელი ბავშვებმა. განკუთვნილ ადგილზე უნდა დაჯდეს თვითეული მათგანი. სიჩუმე სავალდებულოა ჭამის დროს, მაგრამ გიამ მაინც რაღაც უთხრა ოლიას და გააცინა იგი.





დიდად უმადლიან მშობლები საბავშვო ბაღის გამგეს ნატალია უნაფქოშვილს. იგი ამ საქმეში გამოცდილი, დახელოვნებული ორგანიზატორია. ნ. უნაფქოშვილი საქართველოში სკოლამდელი აღზრდის ერთ-ერთი პიონერთაგანიცაა. მისი ხელმძღვანელობით I საბავშვო ბაღში მუშაობენ მაღალკვალიფიციური აღმზრდელები.

დასრულდა საბავშვო ბაღის დღე. ბავშვები სიხარულით გარბიან მათ წასაყვანად მოსულ მშობლებისაკენ. რამდენი სალაპარაკო აქვთ დედასთან, მამასთან და განსაკუთრებით ბებიასთან. დღეს რამდენი ახალი რამ გაიგეს, რამდენი ახალი რამ ნახეს საბავშვო ბაღში.





ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი ალ. ბანძელაძისა

# იისფერი ჭიქა

არჩილ ჩაჩიბაია

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრილი მებრძოლი ვახტანგ შიოშვილი მოიყვანეს მანქანით. დაჭრილს, როგორც იტყვიან, არაადამიანური ტკივილები აშფოთებდა და აბორგებდა. გმინავდა, ძრწოდა, ახლოს არავის იკარებდა. საჭირო იყო ოპერაცია, მაგრამ ოპერაციის გაკეთებაზე უარს ამბობდა. უცნაური აზრი აეკვიატებინა: ჯიუტად მოითხოვდა დაელევინებინათ საწამლავი. ექიმების ყოველგვარი ცდა, დაემშვიდებინათ დაჭრილი და აღმოეჩინათ საექიმო დახმარება, ამაო აღმოჩნდა. უოპერაციოდ მისი ღრმა ზურგში გაგზავნა არ შეიძლებოდა.

დაჭრილი ცალკე ოთახში იწვა (სახელდახელოდ მოწყობილ საწოლზე). შავგვრემან, ნაყვავილარი სახის, მხარბეჭიან ვაჟკაცს თვალები ამღვრეოდა, თმები საფეთქელთან უწესრიგოდ ჩამოშლოდა და მკერდგაღეღილი, მართლაც, რომ უცნაური შესახედავი იყო. გმინავდა, შფოთავდა. ზოგჯერ საზარლად წამოიძახებდა მუქარით სავსე სიტყვებს.

— გაგიგონიათ თქვენ, კაცი არაადამიანურად იტანჯებოდეს? გესმით, რომ გეკითხებით?! მითხარით ერთი თუ გაგიგონიათ?! — ეუბნებოდა იგი ახლოს მდგომ ექთანებს, რომლებიც ქირურგისაგან გაფრთხილებულნი იყვნენ არ მოშორებოდნენ და თვალყური ედევნებინათ მისთვის.

იქ მყოფთა დუმილმა ავადმყოფი უფრო აღაშფოთა.

— თქვენ რა?! — განაგრძობდა იგი — ადამიანები არა ხართ? ხომ ხედავთ რომ განწირული ვარ... მომკალით და მომასვენეთ, გესმით?! მომიტანეთ საწამლავი, მომკალით და თქვენც მოისვენეთ, გესმით?! მომიტანეთ საწამლავი!

მუქარამ და ვედრებამ რომ არ გასჭრა დაჭრილი ცოტა ხნით გაჩუმდა, თითქოს ახალი გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო. ექთანებს არ უკვირდათ მისი ასეთი ქცევა. მათ ასეთი ავადმყოფი არა ერთი უნახავთ. და ახლაც სჯეროდათ, რომ დრო გავიდოდა და ავადმყოფი დაწყნარდებოდა.

აი, დაჭრილმა დაწითლებული თვალები ჭერს მიაშტერა. სახე დაელმიჭა, ამოიგმინა, ღრმად ამოისუნთქა, თითქო თან ამოაყოლა ტკივილები და მერე გაყუჩდა. ცოტა ხანს იყო ასე. ექთანებისათვის თვალი არ მოუშორებია. თანდათან უფრო დარწმუნდა, რომ მათთან ჩხუბით და მუქარით არაფერი გამოვიდოდა და ახლა დაყვავება აირჩია, მაგრამ ისე იყო გულამღვრეული, რომ ტკბილი სიტყვის თქმა ვერ მოახერხა და გაირინდა.

ოთახში ჰოსპიტლის უფროსი გრიგოლი შემოვიდა ქირურგის თანხლებით.

ვახტანგმა, როგორც კი შენიშნა ქირურგი უმალ წარბები შეიკრა. გრიგოლი დაჭრილს მიუახლოვდა. დაჭრილი ცდილობდა წამოჭრილიყო, მაგრამ თავი ოდნავ წამოსწია და კვლავ ბალიშზე დაეშვა. გაირინდა. ჰოსპიტალის უფროსმა იცოდა, რომ დაჭრილისთვის სასწრაფოდ საჭირო იყო ოპერაციის გაკეთება და ღრმა ზურგში გაგზავნა, მაგრამ ავადმყოფი ჯიუტობდა, ოპერაციაზე უარს ამბობდა და ქირურგს არ იკარებდა.

— მითხარით, რატომ არ ასრულებთ ჩემს თხოვნას?! რატომ მტანჯავთ, მომიტანეთ საწამლავი... ნუთუ ეს თქვენთვის საძნელოა?! ჩემს ბრძანებას ფრონტზე ასეული ემორჩილებოდა. აქ კი უკანასკნელ თხოვნასაც არ მისრულებთ.

— აქ ფრონტი არ არის! — ნელი ხმით უთხრა გრიგოლმა. ამ ხმაში თითქოს, დაყვავებაც იყო და თავშეკავებაც იგრძნობოდა — აქ თქვენ ჩვენ უნდა გაგვიგონოთ... აქ ადამიანები იმისთვის კი არ მოყავთ, რომ საწამლავი დაალევინონ. ჩვენ ვალდებული ვართ ვიხსნათ თქვენი სიცოცხლე. აქ მხოლოდ ჩვენი ბრძანებებია ძალაში!

ვახტანგი კვლავ აღელდა. სცადა წამოწევა. დასისხლიანებული თვალები გადმოკაკლა, მაგრამ გრიგოლი ოდნავადაც არ შეცვლილა; არც ტონი აუმაღლებია, არც ადგილი გადაუნაცვლებია. ქირურგი კი ითმენდა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ უფროსმა ისეთი თვალებით შეხედა, რომ აგრძნობინა გაჩუმებულიყო.

— გეკითხებით — განაგრძობდა ვახტანგი — ჩემი წვალება გინდათ?! თქვენ გინდათ მიყუროთ, თუ როგორ ვკვდები?!

გრიგოლი ჩუმად, დუმილით შეჰყურებდა მას, თითქოს სწავლობდა მის ქცევას, მის განწყობილებას, მის სულის შფოთვასა და ბორგვას. ცდილობდა ჩასწვდომოდა მისი გულის სიღრმეს, გაეგო რა ესიამოვნებოდა, რა უფრო დააშოშმინებდა, დააწყნარებდა.

— თქვენი სიცოცხლე ჩვენ გვეკუთვნის! კვლავ ტკბილად მიმართა გრიგოლმა ვახტანგს. — ჩვენ ვალდებულნი ვართ თვალისჩინივით მოგიაროთ.

დაჭრილი კვლავ ურჩობდა, კვლავ აუტანელი ხდებოდა.

— აგიტაცია არ მჭირდება მე! განა არ ვიცი, რომ თქვენ მე კი არ მიფრთხილდებით, საკუთარ თავს უფრთხილდებით. თქვენ გეშინიათ პასუხისმგებლობის. ლაჩრები ხართ, გესმით, ლაჩრები! მომეცით ქაღალდი, დავწერ, რომ ჩემი სიკვდი-

ლის გამო ხელი არ გახლონ და პასუხი არ გაგებინონ! მოიტათ, რას უყურებთ.

დაჭრილმა წარბები შეიკრა, სახე საშინლად აემღვრა, წუთით სიწითლემ გადაუარა, მერე ერთბაშად გაფითრდა, ნიკაპი აუკანკალდა და ხელები აუცახცახდა.

გრიგოლი ჩუმად ისმენდა ვახტანგის სიტყვებს და ერთი წუთითაც არ მოუშორებია მისთვის თვალი.

ტკივილებისაგან სახე დაღმეჭილი ავადმყოფი კიდევ უფრო გამწარებული, საშინლად ღრიალებდა, ხელებს იქნევდა, თანდათან მოთმინებას კარგავდა, დაფიქრებისა და განსჯის უნარი აღარ ჰქონდა.

— თქვენ გინდათ მე ოპერაცია გამიკეთოთ... ეს არ მოხდება — კვლავ არ იშლიდა დაჭრილი. ყვიროდა, ცდილობდა დაეგლიჯა რაც ხელში მოჰყვებოდა.

გრიგოლმა მკაცრი შეხედულება მიიღო, კიდევ უფრო ახლოს მიიწია დაჭრილის ლოგინთან და მტკიცედ უთხრა.

— მაშ, არ იშლი? მაინცდამაინც საწამლავი გინდა დალიო?!

— რამდენჯერ უნდა გითხრათ?! გეუბნებით, მომიტანეთ!

— კიდევ გიმეორებთ, თქვენ გინდათ საწამლავი მოგიტანოთ, არა?

— ნუთუ ისე გულქვა ხართ, რომ ადამიანის ნათქვამსაც ვერ იგებთ?

— მაშ, არ იშლი?! კარგი, ძალიან კარგი, მოგიტან საწამლავს, გესმის?! ნამდვილად მოგიტან! — მკაცრად, მაგრამ ახლა კი, გულმოსულად უთხრა გრიგოლმა და სწრაფად გავიდა.

ქირურგი და ექთანები გაოცებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ნუთუ გრიგოლმა გადასწყვიტა საწამლავი დაალევინოს დაჭრილს?

მძიმე, სულის შემხუთველი წუთები დადგა. ყველა მოუთმენლად და მღელვარებით მოელოდა გრიგოლის დაბრუნებას. რამდენიმე წუთი და გრიგოლი ისევ მრისხანე სახით შემობრუნდა.

როგორც კი თვალები დაჭრილს გაუსწორა წარბები შეიკრა, უფრო მოიღუშა; უფრო მკაცრი სახე მიიღო. მას მარჯვენა ხელში ეჭირა სავსე ჭიქა, რომელსაც იისფერი დაჰკრავდა. არავინ იცოდა ჭიქა იყო იისფერი, თუ ის სითხე, რომელიც შიგ ესხა.

— აი, რასაც მოითხოვდი, დალიე! — გრიგოლმა სავსე ჭიქა სკამზე დაუდვა დაჭრილს. დაჭრილმა სწრაფად დასტაცა ხელი ჭიქას.

ქირურგი ამას არ მოელოდა. გაოცებული, საშინელმა ჟრჟოლამ აიტანა. ასეთი შემზარავი შემთხვევა მას ჯერ არ ენახა. ერთი წუთი და... დაჭრილი გადაჰკრავს საწამლავს და...

— პატივცემულო გრიგოლ! — უნდოდა რაღაც ეთქვა ქირურგს, მაგრამ...

— ჩარევა არ არის საჭირო! — უმალვე გააწყვეტინა მან ხმა და იმავ წუთს, ისევ მკაცრად, ისევ გულცივად მიმართა ვახტანგს — დალიეთ!

— ექიმო! მას ბავშვები, ცოლი, დედმამა მოელის შინ! საწამლავს ნუ დაალევინებთ!

— მერე რა, რომ მოელიან?! თვითონ ასე სურს!

გრიგოლის უცნაურმა პასუხმა ქირურგი მოთმინებიდან გამოიყვანა, აღაშფოთა. ექთანები ხმაგაკმენდილები, შეშფოთებული სახით ხან ერთმანეთს შეხედავდნენ, ხან გრიგოლს და ხან დაჭრილს, მაგრამ ენას ვერ სძრავდნენ. ასეთი შემთხვევა მათ ჯერ არ ენახათ. იქნებ ამ საშინელი მოლოდინის ბურანში იყვნენ გახვეულნი. დიახ, იქნებ ეს ასეც იყო, მაგრამ აქ უფრო შიში იყო სიკვდილისა, რომელიც ჭიქიდან იისფერი თვალებით უცქერდა ყველას ჩუმად და შემაძრწუნებლად.

— ექიმო, რომ დალიოს ხომ... — კვლავ გაისმა შეშფოთებული ხმა.

— დიახ! მას თვითონ ასე უნდა! სიკვდილი სურს და სიკვდილიც ხელში უჭირავს! — ეს სიტყვები გრიგოლმა განსაკუთრებული ტონით წარმოთქვა.

არა! რა გასაოცარია დღეს გრიგოლი?! რამ გამოცვალა ეს ადამიანი?! რამ გახადა ასე გულქვა, ასე მკაცრი, ასე შეუბრალებელი?! სად გაჰქრა მისი ტკბილი სიტყვები, მისი იმედიანი ღიმილი.

ახლა მას არავისი არ ესმის. ყოველ შემთხვევაში არ სურს გაიგონოს, ვისმეს ყური ათხოვოს. სახეზედაც არავის უყურებს, გარდა დაჭრილისა. მხოლოდ მას ჩასცქერის ჯიუტად, კუშტად.

დაჭრილმა მაგრად ჩასჭიდა ჭიქას ხელი, ჩააცქერდა, მერე ბაგესთან მიიტანა და ჩქარი სუნთქვა დაიწყო; სახე საშინლად გაეცრიცა, აემღვრა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, თითქოს ხელები გაუქვავდაო, ბაგეები გაულურჯდა, აუკანკალდა. თვალები უაზროდ გაუშტერდა. იისფერ ჭიქაში ჩასხმულ სითხეს ფანჯრიდან შემოჭრილ შუქზე ათასგვარი ფერები შეემღვრა, მწვანე ჩრდილები შეირხნენ, აცახცახდნენ და ჩუმი ელვით შეეშხეფნენ ჭიქის კიდეებს.

— სიკვდილი!... სიკვდილი!... — რაღაც უცნაური ხმა ასისინდა, აწივლდა და გულს მტკივნეულად გაატანა.

აი, დალევს ის ამ იისფერ სითხეს და მორჩა, სამუდამოდ შეწყდება მისი გულისძგერა. სულ რამდენიმე წამი და ყველაფერი დამთავრდება. დიახ! ეს ტანჯვა ეს წუხილი, ეს ტკივილი და ფიქრი, განვლილი სიმწარე თუ შემაძრწუნებელი გრძნობა, ყველაფერი მიყუჩდება, რადგან აღარ იქნება იგი.

იისფერ ჭიქაში ჩაბუდებული სიკვდილი, ახლა ასე რომ გარინდულა დაჭრილის აკანკალებულ ხელში, თითქოს თანდათან დრტვინვას იწყებს. იისფერია იგი. ვახტანგს ბაგეები უიისფერდება. მალე ეს ფერი მთელს სხეულს გადაეკვრება და სიცოცხლის ნიშანწყალს მოსპობს, გააქრობს. საშინელი წუთი დადგა. გრიგოლი კვლავ გარინდულია, წარბს არ ხრის, ხმას არ იღებს. მის შუბლზე მხოლოდ მიუკარებლობას თუ ამოიკითხავ, ხოლო თვალებში მკაცრ სიცივეს.

— დალიე, რას უყურებ?! შეგეშინდა?! — ჩასძახის ვახტანგს იდუმალი ხმა. — რამ ჩაგაფიქრა?! რამ შეგიკრა ბაგეები?! შენ ხომ უარს ამბობ სიცოცხლეზე, რომელიც ერთხელ გეძლევა და ხელიდან არ უნდა უშვებდე! ჩვენ ხომ სიკვდილს ვებრძვით და შენ კი მას ბრმად ემორჩილები?! რატომ არაფერს არ ამბობ? სიკვდილთან ბრძოლაში რომ მოკვდე სხვაა, მაგრამ ახლა შენ სიკვდილს ბრმად ემორჩილები, შენ თვითონ მოიხმობ მას და ეს ლაჩრობაა!

— როგორ?! რას ამბობთ?!

— გაიგე! ვაჟკაცობა სიკვდილზე გამარჯვებაა, — კვლავ ჩასძახის იდუმალი ხმა.

ახლა ვახტანგის ხელშია სიკვდილიც და სიცოცხლეც. მას შეუძლია ჭიქა ხელიდან გააგდოს და მოიშოროს თვით სიკვდილიც.

ახლა, ის ტკივილები, რომელსაც ასე შეშფოთებით გრძნობდა, უკვე დაფარა სიკვდილის შიშმა. წამი და იისფერი ჭიქიდან სიკვდილი მის სხეულში ჩაიმღვრევა.

...მაგრამ...

მის თვალწინ მეტად სწრაფად და ფერადფერად სურათებად განვლეს წარსულის უტკბესმა მოგონებებმა და სახეებმა, მწუხარე სულში კვლავ შეიჭრა სიცოცხლისაკენ სწრაფვის მძაფრი სურვილი...

ყველაფერი, რასაც კი მისწვდა მისი გონება, ყველაფერი წარმოიდგინა ნათელ ფერებში, სიცოცხლის ჯადოქრული სილამაზით, მიმზიდველად, საოცნებოდ და სანეტაროდ. ამან კვლავ გაუღვიძა ტრფობა სიცოცხლისადმი... მისი გონება თანდათან დაიწმინდა შავი ფიქრებისაგან.

სიკვდილისადმი ზიზღის ცეცხლმა გაადნო ყინული და იქ მყოფთათვის სრულიად მოულოდნელად, ვახტანგმა თავი მაღლა ასწია, გრიგოლს თვალები გაუსწორა და უცნაურად წამოიძახა:

— არა! არ მინდა, არა! — და ჭიქა ხელიდან გააგდო.

გრიგოლმა შეკრული წარბები გახსნა. ახლა პირველად შეხედა ქირურგს და ანიშნა დაჭრილთან მისულიყო. ქირურგმა გრიგოლის სახეზე კმაყოფილების შუქი დაინახა. დიახ! კმაყოფილების საამო შუქი.

აი, ახლა გრიგოლის სახე ისევე სათნო, ისევე მიმზიდველი, უპირქუშო იყო, როგორც ყოველთვის.

— ექიმო! დაიცათ, სიტყვა მაქვს სათქმელი! — მიაძახა ვახტანგმა გრიგოლს, მაგრამ მან თვალი მოაშორა და პალატიდან გავიდა.

— არა! მართლაც, რომ უცნაურად იქცევა იგი! საოცარია!

* * *

ახლა დაჭრილი დაემორჩილა ქირურგს; საშინლად გაფითრებული, უსიტყვოდ, უშფოთველად შესცქეროდა ის მკურნალ ექიმს და ფიქრობდა იმაზე, თუ რა მოხდებოდა. ქირურგი დარწმუნებული, რომ დაჭრილი მთლიანად დანებდა მის სურვილს, შეუდგა ოპერაციის გაკეთებას.

ვახტანგი სდუმდა, სუნთქავდა ღრმად, ნაწყვეტნაწყვეტად და აჩქარებით. უხმოდ იტანდა ტკივილს. ყველას აოცებდა ის თავშეკავება და გამძლეობა, რომელსაც იგი იჩენდა. არავინ არ ელოდა ამ მძიმე ოპერაციის ასე ვაჟკაცურად გადატანას, მით უფრო, სულ რამდენიმე წუთის წინ მისი შფოთვა საგონებელში აგდებდა ყველას.

ახლა კი გარინდული ვახტანგის უძრავი სევდიანი თვალები სადღაც შორს იხედება; ღრმა ფიქრშია წასული.

არავინ იცოდა თუ რას ფიქრობდა იგი.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა. სიკვდილის მოლოდინში განვლილი შფოთი და ურვა სიცოცხლის სანეტარო ოცნებამ შესცვალა. ავადმყოფი ექთანებს აიძულებდა ფანჯრები ღიად დაეტოვებინათ, რათა ეცქირა მზისათვის, ბუნებისათვის, დამტკბარიყო ყვავილების საამო სუნით, რომელიც ნელ სიოს ასე უხვად შემოჰქონდა ოთახში.

ახლა, როგორც არასოდეს სიხარულს აეტაცნა იგი.

მას ეზიზღებოდა ყველაფერი, რასაც სიკვდილის ჩრდილი დაჰკრავდა. სურდა გონებიდან განედევნა საზარელი გრძნობის აღმძვრელი მოგონება.

* * *

გემი უხმაუროდ მიადგა ნაპირს. იმავ წუთს დაიწყეს დაჭრილების გემზე გადაყვანა. ვახტანგსაც უთხრეს, რომ გემზე უნდა გადაეყვანათ.

უჩვეულო სიხარულისა და ბედნიერების ტალღამ გადაუარა მის სულს. ამ წუთს მოელოდა ის მოუთმენლად და გულის წადილი რომ აუსრულდა, სიმშვიდე თანდათან სასიამოვნოდ ეუფლებოდა. ახლა სიკვდილი ნამდვილად დაძლეულია... არაფერი მიჭირს, თანდათან კიდევ უფრო გამოვკეთდებიო. ფიქრობდა იგი.

წასვლის წინ მოისურვა გრიგოლის ნახვა, სურვილი შეუსრულეს. სანამ გემზე წაიყვანდნენ გრიგოლის კაბინეტში საკაცეზე დაწოლილი შეიყვანეს.

— ჰო, უკვე გვტოვებ, არა?! — მხიარულად მიიღო გრიგოლმა. — კეთილი, სასიამოვნოა... სრულ გამოჯანმრთელებას გისურვებ!... ვფიქრობ, შენ ჯერ კიდევ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეგიძლია... შენ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლო გესმის, უნდა იცოცხლო!

ვახტანგი დაიბნა; გრიგოლისაგან ასეთ სიტყვას არ მოელოდა. მას თვითონ გადაწყვეტილი ჰქონდა ესაყვედურა საწამლავი თავისი ხელით, რომ მოუტანა, მაგრამ... ასეთმა სიტყვებმა და მეტად გულთბილმა, მეგობრულმა მიღებამ აზრი შეუცვალეს. ასე ტკბილი, ასე გულისხმიერი და ფაქიზი სულის ადამიანი თუ იყო გრიგოლი არ იცოდა. ვახტანგი ახლა მთლიანად მოიხიბლა გრიგოლის ქცევით, თუმცა მაინც კიდევ ეჭვობდა:

— იქნებ ეს მონანიებაა იმ გულქვაობისა, რომელსაც იჩენდა პირველად?! იქნებ ახლა მას რცხვენია საწამლავს რომ მაძალებდა?! იქნებ ახლა იგრძნო მან თავისი დანაშაული, სიცოცხლის მოსწრაფებას რომ მიპირებდა?!

— დიახ! ნამდვილად ასეა, თორემ აგრე შუბლგახსნილი რატომ მაშინ არ იყო?! ახლა, რომ მივდივარ აქედან, ალბათ სურს გულისწყრომა არ გამყვეს. დიახ! ნამდვილად ასეა! — ფიქრობს ვახტანგი.

— მაინც რა საოცარია! გრიგოლი ახლა ისეთი არ არის, როგორიც მაშინ იყო. სულ გამოცვლილია, დიახ, ისე გამოცვლილია, რომ არც გეგონება ამ ადამიანს შეეძლოს ის პირქუშობა, ის გულქვაობა, რომელიც ასე კარგად მახსოვს.

# ნეომალთუსიანელები

**მაკარ ბრეგვაძე**

ომის გამჩაღებელთა ბინძური პროპაგანდის არსენალში მცირე როლი როდი აქვს მიკუთვნებული მალთუსის მიმდევართა რეაქციულ „თეორიებს“ ამერიკელ ნეომალთუსიანელთა „თეორიების“ მიზანია „დაამტკიცონ“ რომ დედამიწის მოსახლეობა მეტისმეტად გაიზარდა და საჭიროა მილიონობით ადამიანთა განადგურება, რაც მიღწეულ უნდა იქნეს ომების მოწყობით. მალთუსის მიმდევრები ცდილობენ თვალი აუხვიონ მსოფლიოს ხალხებს, მოატყუონ ისინი და ჩაუნერგონ ყალბი აზრი იმის შესახებ, რომ მძიმე მდგომარეობა, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიქმნა, შიმშილი, კრიზისები, თითქოს გამოწვეული იყოს არა კაპიტალისტური სისტემის შინაგანი ბუნებით, არამედ იმით, რომ დედამიწის მოსახლეობა სწრაფად იზრდება და რომ ბუნებას აღარ შეუძლია გამოკვებოს „ჭარბი“ მოსახლეობა. სინამდვილეში კი სწორედ კაპიტალიზმია დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მოქალაქეთა ყველა უბედურების მიზეზი და სათავე, სწორედ კაპიტალიზმს მოაქვს მილიონობით ადამიანებისათვის შიმშილით სიკვდილი, უმუშევრობა და სიღატაკე.

დოლარებით დაქირავებული ბურჟუაზიული „მეცნიერება“ და მისი რეაქციული წარმომადგენლნი ხალხის გაღატაკების მიზეზებად თვლიან „ჭარბ დასახლებას“ და ბუნების გამოფიტვას, რაც თითქოს ხდება ადამიანთა მიერ მისი განუწყვეტელი გამოყენების გამო.

1948 წელს ნიუ-იორკში გამოიცა პან-ამერიკული კავშირის ბუნების დაცვის დირექტორის ვილიამ ფოგტის წიგნი, სათაურით — „გზა ხსნისაკენ“, ხოლო 1951 წ. ჰენდელის წიგნი „მოსახლეობის შეუკავებელი ზრდა“. ამ შრომებში ავტორები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დედამიწა გადატვირთულია ჭარბი მოსახლეობით და რომ ბუნებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს კაცობრიობაო. ეს ახალი აზრები არ არის. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს ინგლისელმა მღვდელმა მალთუსმა „აღმოაჩინა“ ანტიმეცნიერული „კანონი“ დედამიწის სფეროს მოსახლეობის გაძლიერებული მატების შესახებ. მალთუსის „კანონის“ თანახმად დედამიწის მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით. ხოლო საარსებო საშუალებები არითმეტიკული პროგრესიით. ამრიგად, მალთუსის „კანონის“ მიხედვით, ხალხის სიღატაკის მიზეზია არა საზოგადოებრივი წყობა, არამედ მოსახლეობის სწრაფი გამრავლების „კანონი“ და ბუნებრივი რესურსების თანდათანობითი შემცირება“.

ფოგტი, ჰენდელი და მათი მიმდევრები არაფერს არ იშურებენ იმისათვის, რომ ყველა უბედურება ყველა სიდუხჭირე, რაც კაპიტალიზმმა ადამიანს მოუტანა, ნიადაგს, ბუნებას დააბრალონ. ასე მაგალითად, ისინი ლაპარაკობენ ნიადაგის ეროზიაზე, რომელმაც მოიცვა ამერიკის მიწის უზარმაზარი მასივები. ეროზიით მწყობრიდან გამოყვანილია 112 მილიონზე მეტი ჰექტარი ნიადაგი, ხოლო 476 მილიონ ჰექტარზე გამანადგურებლად მოქმედებს იგი. XVIII საუკუნიდან იქ მტაცებლურად განადგურდა 114 მილიონი ჰექტარი ტყე. ფოგტისა, ჰენდელის, ჰარპერის და პირსონის „გამოანგარიშების“ მიხედვით დედამიწის რესურსების ათვისება პრაქტიკულად უკვე დამთავრებულია. მათი ცნობებით სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწის ფონდი განისაზღვრება 1600 მილიონი ჰექტარით. თვითეულ კაცზე მოდის 0,4 ჰექტარი, ხოლო ცხოვრების აუცილებელი დონის შენარჩუნებისათვის ერთ კაცზე საჭიროა არა ნაკლებ ერთი ჰექტარი მიწაო. „ჩვენმა წინაპრებმა, — წერს ფოგტი, — ამერიკის კონტინენტიდან მოიხმარეს რაც კარგი იყო; ჩვენ სწრაფად ვნთქავთ მას, რაც დარჩათ“ დარჩათ კი ფოგტის აზრით — სულ ცოტა; ფოგტი და ჰენდელი ფიქრობენ რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბუნებას შეუძლია „გამოკვებოს“ მხოლოდ 100 მილიონი კაცი, 45 მილიონი კაცი კი უკვე „ზედმეტ“ ბარგს წარმოადგენს. მთელ დედამიწაზე ფოგტის მიხედვით, შესაძლებელია იცხოვროს 500-დან 900 მილიონამდე კაცმა (სინამდვილეში ამჟამად ცხოვრობს 2400 მილიონი კაცი) ე. ი. ფოგტის აზრით 1500 მილიონი კაცი „ზედმეტია“. ფოგტი თვლის, რომ მსოფლიოს მოსახლეობის მეტი ნაწილი თავიდან უნდა მოვიშოროთო. კიდევ მეტიც, ნეომალთუსიანელი ჰენდელი თავის შრომაში წინადადებას იძლევა, ძალდატანებით მოისპოს არა ნაკლებ 700 მილიონი მცხოვრებისა, რომლებიც „ზედმეტი მჭამელებია“. წინააღმდეგ შემთხვევაში ჰენდელის აზრით „მოსალოდნელია კატასტროფა“, ამიტომ კაციჭამია ფოგტის, ჰენდელის და სხვა ნეომალთუსიანელთა აზრით სასურველ და დადებით მოვლენებად უნდა ჩაითვალოს საშინელი ეპიდემიები — ხოლერა, ყვავილი, შავი ჭირი, მასობრივი შიმშილობანი და განსაკუთრებით ომები, რომლებიც ნთქავენ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეს და ამით ამცირებენ პრეტენდენტთა რიცხვს პურზე.

ამერიკელი ნეომალთუსიანელები უფრო შორსაც მიდიან: ისინი ბრალს სდებენ მედიცინას იმაში, რომ მან შეამცირა სიკვდილიანობა. ჰენდელი ნანობს, რომ „საუბედუროდ, მიუხედავად ომისა და გერმანელთა მხეცობისა, ევროპის მოსახლეობა რუსეთის ჩაუთვლელად, 1936—1946 წ. წ. პერიოდში გაიზარდა 11 მილიონით“, ამიტომ ჰენდელი, ფოგტი და სხვა ამერიკელი კაციჭამიები მოითხოვენ ევროპის მოსახლეობის განახევრებას, ხოლო აზიის მოსახლეობის 10-ჯერ შემცირებას. ისინი „კეთილ საქმედ“ თვლიან ისეთი „ჭარბდასახლებული“ ქვეყნების მოსახლეობის განადგურებას როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი, ინდონეზია და სხვ.

ამგვარად, ამერიკელი ნეომალთუსიანელი კაციჭამიები ბუნებრივი რესურსების მტაცებლური განადგურების აღწერისას „ლოგიკურად“ მიდიან სიკვდილიანობის გადიდების გამართლებამდე, ქადაგებენ ხალხთა იძულებით სტერილიზაციას.

ოკეანესგაღმელ საქმოსნებს ბანი მისცეს ფრანგმა პოლ რებუმ და ინგლისელმა ჰიუ პოლმა. პირველმა თავის წიგნში — „მეტად დიდი რაოდენობა ბავშვებისა“ (1952 წ.), მეორემ სტატიაში „სურსათი და მოსახლეობა“, — გაიმეორეს ფოგტის, ჰენდელის, პირსონის, მიურდალის და სხვა ნეომალთუსიანელთა „მეცნიერული მსჯელობანი“ მოსახლეობის შემცირების შესახებ.

ფოგტის მტკიცება დედამიწის მიწის ფონდის მთლიანად ათვისების შესახებ — წარმოადგენს მოურიდებელ სიცრუეს, გათვალისწინებულს უცოდინარი მკითხველის მოსატყუებლად. საბჭოთა ნიადაგმცოდნეთა, კერძოდ აკად. ლ. პრასლოვის გამოკვლევები მიწის რესურსთა მსოფლიო მარაგისა და მათი ათვისების ხარისხზე გვიჩვენებს, რომ კაცობრიობას აქვს ნიადაგის უზარმაზარი რეზერვები სოფლის მეურნეობის გასავითარებლად. ასე, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში გამოყენებულია ვაკე მხარეთა ნიადაგების საერთო ფართობის 11,8%, ხოლო მთის მხარეთა ნიადაგების მხოლოდ 2,7%.

მალთუსის უსაფუძვლო „დებულებების“ მეცნიერული კრიტიკა ჯერ კიდევ მარქსმა და ენგელსმა მოგვცა. მალთუსიანელებს გამანადგურებელი პასუხი გასცა ვ. ი. ლენინმა შრომებში: „აგრარული საკითხი“ და „მარქსის კრიტიკოსები“.

მოწინავე რუსული აგრობიოლოგიური მეცნიერება ყოველთვის ებრძოდა რეაქციულ მალთუსიანელობას. დიდი მეცნიერი კ. ტიმირიაზევი დასცინოდა მალთუსის დებულებას ადამიანის უძლურების შესახებ ბუნების „საბედისწერო კანონების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ტიმირიაზევი მიუთითებდა, რომ ქიმიის, ფიზიკის და ფიზიოლოგიის განვითარებამ შექმნა საფუძველი რაციონალური მიწათმოქმედებისათვის, საშუალება მისცა ადამიანს დაემორჩილებინა მცენარეთა ბუნება. ტიმირიაზევმა თავის სტატიებში: „მიწათმოქმედი და მეცნიერება“, „მეცნიერების ახალი გამარჯვება ბუნებაზე“ გააცამტვერა შეხედულებანი ინგლისელი მალთუსიანელი ფიზიკოსების ვილიამ ტომსონისა და კრუკსისა, რომელთაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ყოველ ცოცხალ არსებას დედამიწაზე. ამ რეაქციონერთა ლაყბობით, ხუთასი წლის შემდეგ ყველაფერი, რაც ცოცხლობს, ყველაფერი, რაც სუნთქავს — ადამიანები, ცხოველები, თევზები, ფრინველები თითქოს სამუდამოდ მოისპობიან და დაიხრჩობიან. მათი ვარაუდი იმ მოსაზრებას ეყრდნობოდა, რომ სუნთქვისათვის საჭირო ჟანგბადი გამოილევა, დაიხარჯება, რადგან ადამიანები და ცხოველები ჟანგბადით სუნთქავენ, ჟანგბადს ხარჯავენ, ხოლო ნახშირორჟანგს ამოისუნთქავენო; გარდა ამისა ქვანახშირის წვაც ამავე ხარჯს აძლიერებსო „მაშ ღირს ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის? რა საჭიროა ამქვეყნიური ღელვა, აჯანყებები, რევოლუციები?“, — კითხულობენ ისინი. ამ რეაქციული ბოდვის საწინააღმდეგოდ ჯერ კიდევ ტიმირიაზევმა ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ მცენარეები უზრუნველყოფენ ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ნორმალურ ცვლას ატმოსფეროში და ამიტომ კაცობრიობას ამ მხრივ არავითარი საშიშროება არ მოელის.

მალთუსის თანამედროვე მიმდევრების ცრუმეცნიერულ „თეორიების“ დანიშნულებაა: 1) მსოფლიოს ხალხთა ფართო მასები დაარწმუნოს იმაში, რომ მათი გაჭირვება კაპიტალისტური სისტემის ბრალი კი არ არის, არამედ ბუნების „სიძუნწისა“, 2) ხელოვნურად შემცირდეს ხალხის შემდგომი გამრავლება და 3) დედამიწა განიტვირთოს ზედმეტი მოსახლეობისაგან ომებისა და ეპიდემიების გზით. ამ „თეორიებს“ ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა მიჩურინ-ლისენკოს მატერიალისტურმა აგრობიოლოგიამ. საბჭოთა ბიოლოგია გვიჩვენებს მცენარეთა და ცხოველთა ბუნების გარდაქმნის მეცნიერულ გზას.

გამოხატავენ რა ამერიკის რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგიას, მალთუსის თანამედროვე მიმდევრები ხსნას ახალი მსოფლიო ომის დაწყებაში ხედავენ. მაგრამ ხალხებმა უკვე იციან, რომ ხსნა მხოლოდ კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის შეურიგებელ ბრძოლაშია.

---

გრიგოლმა ექთანს უთხრა ჭიქა წყალი მოეტანა მისთვის, თანაც მიუთითა ჭიქაზე და წყლით სავსე გრაფინზე.

გრიგოლი მეტად გულთბილად ესაუბრებოდა ვახტანგის მომავალ შეხვედრებზე, როდესაც მას ექთანმა წყლით სავსე იისფერი ჭიქა მიაწოდა.

ვახტანგმა უცებ საკაცედან წამოიწია და შეშფოთებულმა მიაყვირა:

— გადააგდეთ, არ დალიოთ!

ექთანი გაოცებული შესცქეროდა ვახტანგის შეშფოთებულ სახეს; ვერ მოიფიქრა თუ რამ ააღელვა ასე საოცრად, რატომ შეშფოთდა ასე უცებ.

— ექიმო! — დაიწყო ვახტანგმა აღელვებით — ეს იისფერი ჭიქა, ხომ ის ჭიქაა, რომლითაც საწამლავი მომიტანეთ?! რომ დალიოთ მოიწამლებით!

გრიგოლმა გაიღიმა.

ვახტანგი ამან გააოცა.

— დიახ! — ღიმილით მიმართა გრიგოლმა მას — ეს სწორედ ის ჭიქაა, რომელიც მე, მართლაც, მოგიტანე, მაგრამ შიგ საწამლავი კი არ იყო, არამედ უბრალო წყალი!

— როგორ! იისფერი საწამლავი არ ესხა შიგ? — გაოცებით შეეკითხა ვახტანგი.

— იისფერი თვითონ ეს ჭიქაა ჩემო კარგო, გესმის? — კვლავ ტკბილად დამამშვიდებლად განაგრძო გრიგოლმა. — მე შენი ჯიუტობის გასატეხად მივმართე ამ ხერხს. მე, ძალიან კარგად ვიცოდი, რომ შენ მძიმე ტკივილებმა თავი მოგაბეზრეს და აგიძულეს მოგეხმო სიკვდილი. შენ ჯიუტად მოითხოვდი საწამლავს და იისფერ ჭიქაში, რომელიც მე მოგიტანე, შენ სიკვდილი გეგულვებოდა... მოახლოვებულმა სიკვდილის შიშმა შენ კვლავ ძლიერად განგაცდევინა სიცოცხლის სიტკბოება, სიცოცხლის მშვენიერება.

ვახტანგი გარინდული შეჰყურებდა გრიგოლს და მისი ქცევის საიდუმლოების გაგებამ კიდევ უფრო შეაყვარა ის. ვახტანგი ახლა მიხვდა, რომ ასეთი მოქმედება შეეძლო მხოლოდ დიდი გამოცდილების მქონე ექიმს, რომელიც ასე ჩასწვდა აღელვებული ადამიანის შეშფოთებულ სულის სიღრმეს და ამოიცნო შფოთვისა და ურვის საიდუმლო.

— ტრაბახობად ნუ ჩამომართმევთ — დაიწყო ვახტანგმა — მე არასოდეს არ მეშინოდა სიკვდილისა და მით უფრო ახლა. არ დავმალავ, მე ჩემი სიცოცხლის მეშინოდა; განა თქვენც არ იცით, ფიზიკურად დამახინჯებული ადამიანის სიცოცხლე, რა სიცოცხლეა! ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში, მისი სიცოცხლე რისი გამკეთებელია?! არაფრისა. დიახ, არაფრისა. ამას რომ თავი გავანებოთ, ისიც ცხადია, რომ ადრე თუ გვიან თავმობეზრებული მახლობელი გულში მაინც იტყვის, ისა სჯობდა ნეტავ მომკვდარიყავო. — აი, ასეთი სიცოცხლის მეშინოდა მე, ამიტომ მოვითხოვდი საწამლავს!

— არც შენ დამავიწყდები და არც შენი სიტყვები, ჩემო მეგობარო! კვლავ გულისხმიერად განაგრძო გრიგოლმა — სახსოვრად მინდა ეს იისფერი ჭიქა გითავაზო. დეე, მან ყოველთვის მოგაგონოს სიცოცხლისა და ცხოვრების მშვენიერების ძლიერი გრძნობა.

# სტუმრად ანრი ბარბიუსთან

**ჟან ფრეილი**

მორის ტორეზს პირველი შეხვედრიდანვე მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა ანრი ბარბიუსთან და რომენ როლანთან. ბარბიუსი ტორეზზე 27 წლით უფროსი იყო, ხოლო რომენ როლანი 32 წლით. მიუხედავად ასაკისა და წრისა, ახალგაზრდა მუშა-რევოლუციონერმა ორივე დიდ მწერალზე დიდი გავლენა მოახდინა. ამაში დავრწმუნდი მაშინ, როდესაც მე ტორეზთან ერთად ბარბიუსთან ვიყავი სტუმრად. ეს იყო 1932 წლის 5 აპრილს.

„ცეცხლის“ ავტორი ფილტვებით დასნეულდა. სნეულება უფრო გაურთულდა პირველი იმპერიალისტური ომის დროს თოვლჭყაპიან სანგრებში ყოფნისას. ამიტომ იგი ზამთარს ჩვეულებრივად მირამარში ატარებდა, კანთან ახლოს; ხოლო როდესაც თბილი დღეები დადგებოდა, იგი თავის პატარა სახლში — ომონში მიდიოდა, გალატის ტყის ნაპირას.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას ჩვენ სანლისში გავემგზავრეთ. ტორეზი ძლიერი გრძნობით განიცდიდა ამ წმიდა ფრანგული პეიზაჟის სიტურფეს, რომელიც გვაჯადოებდა თავისი სიკეკლუცით, ჰარმონიითა და მდიდარი ელფერით. ეს იყო ილ დე ფრანსი, მხვნელთა მიწა. აქ, ათას წელზე მეტს სცემდა საფრანგეთის გული.

გრძელი, დაბალ სახლებიანი ქუჩა. ეს იყო ომონი. ჩვენ მოსახვევში შევუხვიეთ. ჩვენი მანქანა პატარა კარის წინ ჩერდება. კარი ზარის დარეკვისთანავე იღება. ბარბიუსი გვეგებება.

სახეზე მას ტანჯვისა და ოცნების იერი ემჩნევა. იგი მაღალია, გამხდარი და ოდნავ მოხრილი, გალეული სახე და აღგზნებული გამომეტყველება აქვს.

ბარბიუსმა თავისი სამუშაო კაბინეტის სიმშვიდე მიატოვა, რათა დახმარება აღმოეჩინა ჩაგრული ხალხისათვის. იგი თავის შემოქმედებას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ჩაგრულთა დიდი ბრძოლის ნაწილად სთვლიდა.

1932 წლის გაზაფხულზე ომის საშიშროება იგრძნობოდა. ბანკირებისა და ვაჭრების აგენტი, ბოროტი ავანტიურისტი ტარდიე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, აწიოკებდა ხალხს, მიისწრაფოდა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტისა და ომისაკენ. იტალიაში მუსოლინი იარაღს აჟღარუნებდა, იგი „რომის იმპერიის“ აღდგენაზე ოცნებობდა, დემოკრატებსა და რევოლუციონერებს ლიპარის კუნძულებზე ასახლებდა. გერმანიაში კი ყოველთვიურად ფაშისტური დიქტატურის საშიშროება იზრდებოდა.

იმპერიალიზმის მსახური პარტიები ყოველთვის მზად იყვნენ გადაეყლაპათ და გაეძარცვათ ეთიოპია, ხალხის ხარჯზე ურთიერთშორის აწარმოებდნენ მოლაპარაკებას და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობდნენ. კაპიტალისტური ევროპა კრიზისისა და უმუშევრობის მარყუჟებში იხრჩობოდა, მმართველი კლასები კი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდნენ. რით? იარაღის დამზადებით და მოგების გადიდებით, მასების ალაგმვით და ფაშიზმის გამარჯვებით. ისინი გამოსავალს ომში ეძებდნენ.

ორი კაცი, რომელიც ამ დღეს ვილა „სილვიაში“ ერთმანეთს შეხვდა, ერთსა და იმავე იდეას ემსახურებოდა. მათ ერთმანეთს ფიცი მისცეს ებრძოლათ ბოროტების გამომწვევ — კაპიტალისტურ წყობილებასთან, რომელსაც „ომი ისე მოაქვს, როგორც ღრუბელს ქარიშხალი“...

ანრი ბარბიუსი, ინტელიგენტთა წრეში დაიბადა და გაიზარდა, იგი თავიდანვე კომუნიზმთან არ მისულა. 1914 წლის ომის დაწყებამდე იგი ჰუმანისტი და პაციფისტი იყო. 40 წელს გადაცილებული ბარბიუსი არმიაში უბრალო ჯარისკაცად ჩაირიცხა და მიუხედავად იმისა, რომ იგი სამწყობრო სამსახურისათვის უვარგისად იყო მიჩნეული, მოწინავე პოზიციებზე გაგზავნა მოითხოვა. მას ჯარისკაცთა მასების ბედი და ტანჯვა უნდოდა გაეზიარებინა. სასწაული იყო, რომ იგი ამ გიგანტური სასაკლაოდან ცოცხალი დაბრუნდა. ბარბიუსი კავშირს წყვეტს „წმინდა ხელოვნების“ მქადაგებლებთან. იგი თავის თავს კაცობრიობის ჯარისკაცს უწოდებს. მისთვის ლიტერატურა იარაღი გახდა, რომლის მეშვეობით იგი ხალხს გამარჯვების მოპოვებაში ეხმარება.

1923 წელს, როდესაც საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრები „სანტეს“ საპყრობილეში ჩასვეს, ბარბიუსი კომპარტიის რიგებში შევიდა: „რადგან მე კომპარტიის იდეა მივიღე, — თქვა ბარბიუსმა, — მე აგრეთვე უნდა გავწიო მასთან დაკავშირებული რისკიც“. ბარბიუსი იყო „ომის ყოფილ მონაწილეთა ასოციაციის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე, პროგრესული ჟურნალის „მონდის“ რედაქტორი, მისი პიროვნება ითავსებდა მებრძოლი კომუნისტის მუშაობასა და მწერლის შრომას.

აი, ტორეზი და ბარბიუსი ერთმანეთს შეხვდნენ... ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ბარბიუსი — დიდი მეოცნებე, კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი, რომლის სამართლიანი სიტყვებით კაპიტალისტური სიცრუის კედლები ინგრევიან, და მორის ტორეზი, — რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის ძალის განსახიერებას, ახალგაზრდა მუშა-ბელადი, რომელმაც კლასობრივი ბრძოლის რეალობა შეიგნო და ღრმად შეისწავლა მეცნიერული სოციალიზმის კლასიკოსები.

ჩვენ ბაღში გავისეირნეთ, სადაც გალატის ტყიდან სალამურის ხმა მოისმოდა. ბარბიუსმა მეორე სართულზე აგვიყვანა, თავის სამუშაო კაბინეტში — რომელიც უბრალო ავეჯეულობით იყო მოწყობილი. ფანჯრის წინ, მუხის მაგიდა იდგა, ხოლო დივანის ზემოთ, — ძველი ხის სტატუია.

იმ ხანებში ბარბიუსს ზოლაზე წიგნი ჰქონდა დაწერილი. მას ის წიგნი ტორეზისთვის გაეგზავნა.

— მე ძლიერ მომეწონა თქვენი წიგნი, — უთხრა ტორეზმა, — ეს არ არის მარტო ისტორიული და კრიტიკული ნაშრომი, იგი არის აგრეთვე ლიტერატურული მანიფესტიც. მე ეს წიგნი ერთბაშად წავიკითხე. თქვენ კარგად მოიქეცით, რომ ამოირჩიეთ ისეთი სიუჟეტი, რომელმაც საშუალება მოგცათ ასწავლოთ, აალელვოთ და ერთდროულად დაარწმუნოთ მკითხველი. ვის შეეძლო თქვენზე უკეთ ეთქვა ზოლაზე? თქვენ ხომ კავშირი გასწყვიტეთ ძველ ნატურალიზმთან, როცა რეალიზმის პოზიციაზე დადექით.

— ჩვენს ეპოქაში, — უპასუხა ბარბიუსმა, — მოწინავე მუშა და მოაზროვნე მწერალი ერთმანეთისაგან მხოლოდ შრომის განაწილების კანონით არიან დაშორებულნი. ის, ვინც სიმართლეს იცავს, ერთი მიზნისაკენ მიისწრაფვის. ყოველ მიზეზს გარეშე, ლიტერატურა ლიტერატურად უნდა დარჩეს; ეს იმას ნიშნავს, რომ მან უნდა გამოხატოს ადამიანობა. მწერალი ამას მაშინ მიაღწევს, როდესაც სინამდვილის ზუსტ გაგებას ეუფლება, აღწერს და ახსნის რა ცხოვრებას, იგი აჩქარებს გამათავისუფლებელ მოძრაობას, იგი იმავე საქმეს ემსახურება, რასაც რევოლუციური პარტია...

თანამედროვე მწერლები, — განაგრძო ბარბიუსმა, — თავიანთი „თავისუფლების“ შენარჩუნების მოტივით სკეპტიციზმსა და თვითჭვრეტაში ეფლობიან. მათ არ უნდათ სიმართლისათვის ბრძოლა. ისინი არიან ზიზილ-პიპილებიანი ნაყოფი ხრწნადი საზოგადოებისა, ისინი უნაყოფონი არიან. ყველა ეს ხელოვნური, უშინაარსო ლიტერატურა გასაოცარ მოწყენილობას იწვევს.

მე გაერთიანებას ვქადაგებდი. მე მოვუწოდებდი იმ ახალგაზრდა მუშა-მწერლებს, რომლებიც ჯერ კიდევ საზოგადოების მიერ უცნობი არიან და რომლებიც მოდიან და მოვლენ ჩვენს პარტიაში. მე მათზე ვამყარებ ჩემს იმედებს. საჭიროა გზა მივცეთ ახალ ნიჭს, ინტელიგენცია უნდა ვაიძულოთ, რომ ეს მოხდეს. ამ ამოცანის შესრულება ადვილი როდია, უნდა მოვსპოთ მისი ინდივიდუალიზმი, სპილოს ძვლის კოშკი რომ იმალება. საჭიროა აგრეთვე ჩვენმა ახალგაზრდებმა იცოდნენ ის გარემოება, რომ საკმარისი არ არის მარტო მუშა-მწერალი გახდე, არამედ საჭიროა პროლეტარული მწერალიც იყო. მწერლის პროფესია, ისევე ძნელია და მოითხოვს იმდენსავე ტანჯვას, რამდენსაც კონსტრუქტორისა, მჭედლისა და მესაათის შრომა.

— ბურჟუაზიული მწერლები და მხატვრები, — შენიშნა ტორეზმა, — უკვე აღარ ემსახურებიან დიად იდეებს, ამ იდეის გარეშე კი შეუძლებელია ნამდვილი ადამიანი იყო. უფრო მეტი ისინი იდეის მოწინააღმდეგენი არიან და ვერ ამჩნევენ თუ როგორ ვხსნით ჩვენ მათ წინაშე დიდ, შემოქმედებით ჰორიზონტს. მარქსი მიგვითითებდა, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი ეწინააღმდეგება სულიერი პროდუქციის რამდენიმე დარგს — ხელოვნებასა და პოეზიას. ამ სიტყვების სამართლიანობა ახლა უკეთ დასტურდება, ვიდრე წინათ. განყენებული ფერწერა და თავის თავში ჩაკეტილი პოეზია მხოლოდ ვიწრო წრეებისათვის არის საინტერესო. ახლა ხელოვნების ნაწარმოები საქონელი გახდა, სპეკულაციის საგანი. შეიძლება თუ არა ლაპარაკი თავისუფალ ხელოვნებაზე ისეთ საზოგადოებაში, სადაც ხელოვნება ფულის მონაა? ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ლტაკდება გემოვნება და აზრი დეკადენტური ბურჟუაზიული კლასისა. ახალი კულტურის შემქმნელის როლი ეკუთვნის პროლეტარიატს, რომელიც თავს უყრის საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ კულტურულ მემკვიდრეობას, და თავის კრიტიკის საცერში ატარებს.

ტორეზმა გაიხსენა ბარბიუსის რომანი „ცეცხლი“.

— განა „ცეცხლმა“, — თქვა მან, — არ მოახდინა გავლენა მილიონობით ადამიანზე, რომლებიც შოვინიზმით დაბრმავებულნი, გარეკილნი იყვნენ სასაკლაოზე, ოფიციალური პროპაგანდის გამაბრუებელი საშუალებით მოტყუებულნი? მწერლებს შეუძლიათ გამდიდრდნენ მხოლოდ ხალხთან დაახლოებით, გააფართოვონ თავიანთი ჰორიზონტი, ჩაყურყუმელავდნენ მაცოცხლებელ წყაროებში, რომელშიაც მათი აღმაფრენა განახლდება...

და ბოლოს მორის ტორეზმა დაასკვნა:

— რწმენის გარეშე ნიჭი უნაყოფოა. მრწამსი უნიჭოდ ძლიერი არ არის. ბრძოლის მსვლელობაში გაიზრდებიან ჩვენი მწერლები და მხატვრები.

ბარბიუსი კმაყოფილების ნიშნად თავს უქნევდა.

ჩვენ სასაუზმოდ დაბლა სართულზე ჩავედით. სასადილოში მაგიდა უკვე გაწყობილი იყო, მაგიდაზე ჭურჭელი სოფლურად გაეწყოთ. იქვე ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. მუხის მერხები კედლებში იყო დატანებული.

ბარბიუსმა გვიამბო თუ როგორ იმოგზაურა მან უკანასკნელად საბჭოთა კავშირში.

— 1928 წელს დავიწყე მასალების შეგროვება ახალი წიგნისათვის საქართველოზე, წიგნი უნდა გამოსული-



# დირიჟორობს ზაქარია ხუროძე

ედ. ყიფიანი

ხელებგაშლილი დირიჟორის უზარმაზარი ჩრდილი გაწოლილიყო მაყურებელთა ცარიელ დარბაზში. სცენაზე მიმდინარეობდა სიმფონიური ორკესტრის რეპეტიცია. პულტთან მდგარი ახალგაზრდა დირიჟორი ხან თავზე გადაიტარებდა ჯოხს, ხან ოდნავ წინ გადაიხრებოდა და მეტყველი, ადვილად „წასაკითხი“ მოძრაობით თითქოს პირდაპირ გულიდან კარნახობდა მუსიკალურ ფრაზებს. ორკესტრის მსახიობები კი ნაწარმოების მწყობრი და რიტმული შესრულებით ინსტრუმენტების ენაზე თარგმნიდნენ დირიჟორის ყოველ მოძრაობას...

ამ დამატკბობელ ხმიანობაში უეცრად დისონანსი შემოიჭრა; დირიჟორმა ჯოხი პულტზე დააკაკუნა. ორკესტრი ჩაჩუმდა.

— ეს ადგილი ცოტა რთულია, ამიტომ გთხოვთ, ერთხელ კიდევ გავიმეოროთ, — წარმოთქვა ახალგაზრდა დირიჟორმა და მერე კლარნეტზე დამკვრელს გადახედა — თქვენ კი ეცადეთ, რომ მესამე ტაქტში სტოკატო უფრო გამოკვეთილად შეასრულოთ...

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი მორიგი ლექციაკონცერტისათვის ემზადებოდა. პროგრამაში იყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებები: ზ. ფალიაშვილის „დაისის“ და უ. ჰაჯიბეკოვის „ქორ-ოღლის“ შესავალი, ნაწყვეტები ა. ხაჩატურიანის ბალეტიდან „გაიანე“, რ. ლაღიძის „საჭიდაო“ და სხვ. ორკესტრს ხელმძღვანელობდა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული — ახალგაზრდა, ნიჭიერი დირიჟორი ზაქარია ხუროძე.

საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო ზაქარიამ სანამ ის სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელობას ჩაიბარებდა. ბეჯითი და მუყაითი შრომით მან შესძლო თბილისის კონსერვატორიის ორი ფაკულტეტის დამთავრება. პირველი იყო თეორიული ფაკულტეტი, მეორე კი — საორკესტრო ფაკულტეტი კლარნეტის სპეციალობით. სპეციალობების ასეთი არჩევანიდან უკვე ჩანს, რომ ახალგაზრდა მუსიკოსი დირიჟორის პულტზე ასასვლელად ემზადებოდა; თეორიულმა ფაკულტეტმა მას ზოგადი მუსიკალური განათლება მისცა და მხატვრული აზროვნების ჰორიზონტი გაუფართოვა; ორკესტრის



ახალგაზრდა დირიჟორი ზაქარია ხუროძე სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციაზე.

ფოტო ოთ. თურქიასი

ბუნების შესაცნობად კი აუცილებელი იყო რომელიმე ინსტრუმენტის დაუფლება, ამიტომ ზაქარია სწავლასთან ერთად კლარნეტისტად მუშაობდა იმავე ორკესტრში, რომელსაც ახლა თვითონ დირიჟორობს.

მოსკოვის კონსერვატორიის სადირიჟორო კლასის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ზაქარია თბილისში ჩამოვიდა და თავისი პირველივე კონცერტებით მუსიკალური საზოგადოების დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. მის რეპერტუარში შედის ისეთი ცნობილი და დირიჟორისათვის ძნელად დასაძლევი ნაწარმოებები, როგორიცაა ჩაიკოვსკის მე-4 და ბეთჰოვენის მე-5 სიმფონიები, ბერლიოზის ნაწყვეტები „ფაუსტის განკიცხვიდან“, ვაგნერის „ტანჰეიზერის“ უვერტიურა, არჩ. ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის გული“ და სხვ.

ახალგაზრდა დირიჟორი ჩვენს თვალწინ იზრდება. მან საოპერო დარგშიც გამოიჩინა თავისი ნიჭი და ბრწყინვალედ უდირიჟორა რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლეს“.

ზაქარია არც მეცნიერულ შრომას ივიწყებს. სადირიჟორო ჯოხს კონცერტების შემდეგ კალმით ცვლის და გულმოდგინედ ამუშავებს სადისერტაციო თემას: „ზვიადაურის სადირიჟორო გეგმა“.

---

ყო შემდეგ წელს. მე ვთხოვე ი. ბ. სტალინს მიველე და თან მოვამზადე კითხვარები—სულ მქონდა 160 საკითხი. „არა მგონია, — გავიფიქრე მე, — სტალინმა დააკმაყოფილოს ჩემი თხოვნა: დაუშვებელი იქნებოდა ჩემი პირადი ინფორმაციისათვის მისთვის წამერთმია ძვირფასი დრო“.

ამხანაგმა სტალინმა მისთვის ჩვეული თავაზიანობით მიმიღო. მე მას ჩემი წიგნის მიზანდასახულება გავაცანი, იგი ნაციონალურ საკითხს ეხებოდა, — პრობლემებს, რომელიც გარკვეული და მეცნიერულად იყო დასაბუთებული სტალინის მიერ ჯერ კიდევ 1917 წლის რევოლუციამდე. ჩემს წიგნში მინდოდა მეჩვენებინა, თუ როგორ იყო წინათ საქართველო ცარიზმის მიერ დაჩაგრული, თუ როგორ გაიფურჩქნა იგი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს თანასწორუფლებიან ხალხთა მეგობრულ ოჯახში; თუ როგორ განავითარა მან თავისი კულტურა, ფორმით ნაციონალური, შინაარსით კი სოციალისტური. ჩემს წიგნს ნიღაბი უნდა ჩამოეგლიჯა საბჭოთა კავშირის მტრებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირს ცილს სწამებდნენ.

სტალინს მოეწონა ჩემი განზრახვა და მშვიდად დამიწყო ლაპარაკი. მე ჯიბეში კითხვარები მქონდა და წასვლისას მინდოდა მისი სტალინისათვის დატოვება, რადგან მან ჩემი წიგნისადმი ინტერესი გამოიჩინა. მე სტალინის სიტყვები გადამითარგმნეს. დავინახე, რომ სტალინმა ჩემს ყველა კითხვას უპასუხა, ისე, რომ არც კი უნახავს ჩემი კითხვარები.

საუზმის შემდეგ ბარბიუსმა ჩვენ პატარა სასტუმრო ოთახში შეგვიყვანა, ოთახი ამპირის სტილზე იყო მოწყობილი, კედლებზე ძველებური სურათები ეკიდა.

აქ ლაპარაკი ჩამოვარდა ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე, — ეს იყო საკითხი მშრომელთა გაერთიანების შესახებ ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— ბურჟუაზიული პოლიტიკის უკანასკნელი სიტყვაა: „გაინაწილე“, — თქვა ტორეზმა. — კულტურის დარგში, პროფესიულ მოძრაობაში, ყველგან, გაბატონებული კლასი ძველ წესებს იყენებს: „გაინაწილე და იბატონე“. ჩვენ მას უნდა დავუპირისპიროთ ჩვენი ფორმულა: ჩვენი მიღწევების საწინდარი ერთიანობაშია!

— მათ კი უნდოდათ, — თქვა ტორეზმა, — დუმილის, შეთქმულების გზით მიევყვანეთ იქამდე, რომ გვეწარმოებინა აგიტაცია - პროპაგანდა მხოლოდ რელიგიურ მსახურებს შორის...

შემდეგ მორისმა ილაპარაკა იმ საშუალებებსა და შესაძლებლობებზე, თუ როგორ უნდა გაერთიანებულიყო ანტიფაშისტური ძალები მშვიდობისათვის ბრძოლაში.

— საფრანგეთის ბურჟუაზიამ, — განაგრძობდა ტორეზი, — იცის, რომ ჩვენი მუშები და გლეხები ომის წინააღმდეგი არიან. ბურჟუაზია კი ცდილობს დაარწმუნოს მუშები, რომ იგი მშვიდობისათვის იბრძვის, იმ დროს, როდესაც იგი იარაღდება, აკოწიწებს კავშირებს, მიმართავს ყოველგვარ მანევრს, რომ დაანგრიოს საბჭოთა წყობილება. დიდი დანაშაული იქნება ვენდოთ მთავრობის „პაციფიზმს“, ხელები გულზე დავიკრიფოთ და კონტრზომები არ მივიღოთ, არ გადავუღობოთ გზა ფაშიზმსა და ომს. ჩვენ ვერ დავუცდით ომის აფეთქებას... ჩვენ ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა გავაერთიანოთ მუშათა კლასი, ომის წინააღმდეგ უნდა გავშალოთ ფართო სახალხო მოძრაობა, რომელიც გააერთიანებს ყველა პარტიას, ყველა დემოკრატს, ყველა მუშას, ინტელიგენციას...

ბარბიუსი ღრმა ფიქრებს მიეცა.

მე უფრო გვიან გავიგე, რომ მორის ტორეზმა პირველად გამოთქვა დიდი იდეა, რომელსაც რამდენიმე თვის შემდეგ ბარბიუსი უკვე ცხოვრებაში ატარებდა. იგი ამსტერდამში, პარიზში, მშვიდობისათვის ბრძოლაში ამჭიდროვებდა და ორგანიზაციას უკეთებდა პროგრესული ინტელიგენციის ძალებს.

— დიახ, — ჩაფიქრებით თქვა ბარბიუსმა — საჭიროა მასების აღშფოთება ომის წინააღმდეგ... საჭიროა კეთილი ნების ადამიანების შემჭიდროება იმისათვის კი არა, რომ ერთიანობაზე რეზოლუციები წერონ, არამედ იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ პაციფიზმის უტოპიას. საჭიროა ხალხმა ხმა აღიმაღლოს, ხალხს შეუძლია ომზე სიმართლის თქმა.

ჩვენ ბაღში გავედით.

— ბრძოლის გარეშე გამარჯვება შეუძლებელია, — უთხრა ტორეზმა. ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან მშვიდობის და დემოკრატიის ძალები უფრო ძლიერია, ვიდრე ომის ძალები.

ტორეზმა ბარბიუსს მაგრად ჩამოართვა ხელი და ისინი ერთმანეთს გამოეთხოვენ.

თარგმნა ფრანგულიდან
**ს. თურნავამ**



# შრომა-ლიაოდუნ

ალაზნის ველის ბოლოს, თითქმის კავკასიის მთავარ უღელტეხილთან მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობა „შრომა“.

და აი ამ კოლმეურნეობას, ალაზნის ველის ბოლოს გადაჭიმულ სოფელს ეწვია ჩინელი გლეხების დელეგაცია. უბრალო ლურჯხალათიანმა ჩინელმა გლეხებმა, რომელთაც სქელი ბლოკნოტები ეჭირათ ხელში, გულწრფელად მიმართეს ქართველ კოლმეურნეებს:

— ჩვენი ოცნებაა თქვენსავით მდიდარი გავხდეთ და თქვენსავით კულტურულად ვიცხოვროთ. ჩვენ გვინდა ვისწავლოთ ისეთი მუშაობა, როგორიც თქვენ იცით.

ქართველებმა განუმარტეს, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც პირველი მოსახლენი მოვიდნენ ამ მიწაზე, შამბნარისა და დარჩენილი ტყეების ფესვები ამოძირკვეს და სახლები ააშენეს. ამიტომაც უწოდეს სოფელს და შემდეგ კოლმეურნეობასაც „შრომა“. ნათელი აზრითა და კომუნიზმის კეთილშობილური იდეებით შთაგონებულმა შემოქმედებითმა შრომამ მოუტანა ამ მივარდნილ მხარეში აღმოცენებულ სოფელს დიდი სახელი, სიმდიდრე და კულტურა.

...სურამის უღელტეხილიდან შორს, დასავლეთით, სადაც ცადაწვდილი ევკალიპტები და სწორტანიანი ბამბუკები შემორტყმიან ციტრუსოვან ბაღებს, სადაც დაქანებული ფერდობებიდან შავი ზღვის სანაპირომდე ეშვებიან ჩაის პლანტაციის ტერასები, მოვიდა ჩინელ გლეხთა იგივე დელეგაცია.

ჩინელმა გლეხებმა აქაც პირველად იკითხეს — რა ჰქვია ამ ქალაქს?

მათ უპასუხეს: — ეს საკოლმეურნეო სოფელი „შრომაა“.

— ა? — მხიარულად წამოიძახეს ჩინელებმა, — შრომა — ლიაოდუნ!..

ცენტრალურ მოედანზე ორ დაქანებულ ფერდობს შუა ციტრუსოვანი ხეებით დაფარულ ტაფობზე წამოჭიმულა უნივერსალური მაღაზიის ნათელი შენობა, ხმოვანი კინო, საბავშვო ბაღი. ცოტა მოშორებით ყურადღებას იპყრობს სვეტებიანი ნახევრადმრგვალი შენობა ქვაზე ამოჭრილი ჩუქურთმებით შემკული ფასადით.

— ეს ჩვენი სოფლის თეატრია! — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა მიხაკო ორაგველიძემ, — თეატრს ხუთას ორმოცდაათ ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი და მოძრავი სცენა აქვს. სხვაგვარად არც შეგვიძლია. კოლმეურნეობის რომელი ბრიგადაც გსურთ აიღეთ, — ყველა მილიონ მანეთ შემოსავალს იღებს.

— ბრიგადა? — გულწრფელად გაიკვირვეს ჩინელებმა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩინელ სტუმრებს წარუდგინა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ღია ლურჯი კოსტუმი ეცვა და მკერდზე გმირის ოქროს მედალი უბრწყინავდა.

— მარიამ ქადეიშვილი, — გააცნო ორაგველიძემ, — მარტო ამ ქალიშვილს მოჰყავს ორნახევარჯერ მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე რევოლუციამდე მოჰყავდა დასავლეთ საქართველოს ყველა მემამულესა და თავადს ერთად. მიწა მემამულეების იყო და გლეხებს ვინ აღირსებდა ჩაის...

და აი ახლა, სწორედ იმ მიწამ მოუტანა კოლმეურნეობა „შრომას“ ერთი წლის განმავლობაში ცხრა მილიონი მანეთის შემოსავალი.

და როცა ჩინელი სტუმრები ჩაის პლანტაციებში შევიდნენ, კოლმეურნეობა „შრომას“ არტელის თავმჯდომარემ ორი წითელი დროშა გაშალა.

— ეს, — ამაყად თქვა ორაგველიძემ — მოწინავემ, — უამბეთ თქვენ ხალხს, — თქვენ ძმებს, რომ კოლშაა. გთხოვთ გადასცეთ ეს დროშები ახალი ჩინეთის ბრიგადის და მოწინავე რგოლის გარდამავალი დროთან, ძვირფასო მეგობრებო, — დაუმატა თავმჯდომარე მოწინავე მეჩაიეებს. ჩვენ დიდი თხოვნა გვაქვს თქვენმეურნეობაში მუშაობა ერთადერთი გზაა ბედნიერები საკენ!

— შრომა — ლიაოდუნ, — მტკიცედ გაიმეორეს ჩი ნელებმა.

შრომადან 18 კილომეტრის დაშორებით სოფელ ნატანების კოლმეურნეობაში ჩინელი გლეხები დაესწრნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობის სხდომას. სხდომაზე იხილავდნენ მიწათმოქმედთათვის მეტად საინტერესო საკითხს — კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ და კულტურული ცენტრის მშენებლობის პროექტს, რომელიც თბილისელ არქიტექტორთა ჯგუფის მიერ იყო დამუშავებული.

ჩინელებმა იკითხეს: — სოფელში გაქვთ რაიმე სახელოსნო?

— დიახ, რამდენიმე, — თავმდაბლად უპასუხეს ნატანების კოლმეურნეებმა, — ელექტროსადგური, ჩაის ფაბრიკა, შემფუთველი ქარხანა, წისქვილი, წყალსადენი და სატელეფონო კვანძი ხომ თავისთავად იგულისხმება.

— დიდი ხანია რაც გაქვთ ყველაფერი ეს?

— ამისი მსგავსიც არ დასიზმრებია ამ მხარეს, — უპასუხა სტუმრებს ცნობილმა ჩაის მკრეფავმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა დარეჯან ტაკიძემ, — ოცი წლის წინათ აქ ისეთი გაუვალი ჭაობი იყო, რომ კამეჩი დაიხრჩობოდა შიგ. გარშემო მოსახლეობას მალარია ანადგურებდა... მერე ჩვენ დავაარსეთ კოლმეურნეობა, დიდი შრომა გავწიეთ და აი შედეგს თქვენც კარგად ხედავთ.

— შრომა — ლიაოდუნ, — გააზრებულად იმეორებდნენ ჩინელები.

საქართველოში ერთი კვირის სტუმრობის დროს მათ კარგად გაიგეს და შეაფასეს, რას ნიშნავს ეს მოკლე და მრავლისმთქმელი სიტყვა „შრომა“, არტელის შრომა, რომელსაც მოაქვს დოვლათი და ბარაქა.

**ი. მუხაძე**

ფოტოზე — ზემოთ: ჩინელები ჩაის პლანტაციაზე სოციალისტური შრომის გმირთან ლ. გოგოტიშვილთან; ქვემოთ: ჩინელები სტუმრად ნატანებელ კოლმეურნეებთან.

## მაიაკოვსკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხუ ფენი**

მძაფრი ბრძოლები
გადიტანა დიდმა რუსეთმა —
ველებზე ენთო
ცეცხლი სამი რევოლუციის.
მრისხანე ალზე
გადირბინა მაიაკოვსკის ხმამ,
გრგვინვის სიმძლავრით
გაარღვია თალი ლურჯი ცის.
ბრძოლის ქარცეცხლში
მოიპოვა საბჭოთა ხალხმა
გაფურჩქვნისა და აყვავების
ეს ოცი წელი —
და როს პოეტის
ლექსს ვკითხულობ
კვლავ მესმის ახლა
ცხრაას ჩვიდმეტის ქარიშხალის
გუგუნი ძველი.
თითქოს მინდვრებზე
იმ ბრძოლათა გრიალი ისმის,
ჰექა-ქუხილი თითქოს ისევ
ელვისებრ ჰქროდეს, —
მე მავაჟკაცებს
ცეცხლი დიდი რევოლუციის,
მის დავიწყებას დრო ვერ შესძლებს
აწ ვერასოდეს...
...მაიაკოვსკი, ახლა ისმის
ქვემეხთა გრგვინვა,
დღეს ჩინელებმა
გამარჯვების გაჰკაფეს გზები.
აქ ქარიშხალი გაძლიერდა
და მტერი გმინავს...
ჩინელ პოეტებს აღფრთოვანებს
შენი ლექსები.
მაიაკოვსკი, თუმც ჩემი ხმა
სუსტია ცოტა,
რევოლუციის ცეცხლით გამთბარს
მე გეტყვი მტკიცედ —
150. 000. 000
როგორც იბრძოდა,
მსურს პოეზიამ
ჩვენს ჩინეთშიც
იბრძოლოს ისე.
მაიაკოვსკი!
ჯერ ჩვენი ხმა
ცოტა სუსტია —
ბრძოლებში წრთობას
ვაჟკაცური, მძლავრი ხმა უნდა.
ახალგაზრდები
ბრძოლის ჰანგებს გამოუცდია
და მათი ფუნჯი
„მარცხენა მარშს“ მიჰბაძავს მუდამ!

1937 წ. თარგმანი ვ. ლაფერაშვილისა





პროფესორი ნ. ე. ანთელავა თავის სამუშაო კაბინეტში.

# ბრძოლა ადამიანის სიცოცხლისთვის

ვ. ვარდიანი

პროფესორი დავით შოთაძე და მე მივდიოდით ქალაქის პირველი საავადმყოფოს ჩეროიანი ხეივნებით. ჩვენ ერთი გზა გვქონდა ექიმების დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის ქირურგიული კლინიკისაკენ. პროფესორი იქ მსახურობდა, მე კი უნდა შევხვედროდი ამ კლინიკის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ნიკოლოზ ვარდენის-ძე ანთელავას.

კარებთან ვილაც წამოგვეწია, შოთაძეს მიესალმა და მსუბუქად აირბინა კიბეზე.

— მიაქციეთ თუ არა ყურადღება ამ ადამიანს? — შემეკითხა შოთაძე.

— არა, მაგრამ, რითაა იგი საყურადღებო?

— თუნდაც იმით, რომ იგი შეიძლება ითქვას, საიქიოდან არის დაბრუნებული, თუ, რასაკვირველია, საიქიო არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ასე იტყვიან ადამიანზე, რომელიც სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯეს...

და შოთაძემ მიამბო ამ ადამიანის თავგადასავალი.

იგი მუშაობდა პედაგოგად ლაგოდეხში. ამ რამდენიმე წლის წინათ მას მძიმედ დაუავადდა გული. ავადმყოფობა თანდათან რთულდებოდა, ვერაფერს შველოდა თერაპიული მკურნალობა. სული ეხუთებოდა სულ ოდნავი მოძრაობის დროსაც კი. დაუსივდა ხელ-ფეხი; ველარც დადიოდა, ველარც ხელს ამოძრავებდა, ასეთ მდგომარეობაში მოიყვანეს იგი კლინიკაში პროფესორ ანთელავასთან. გადაწყდა, ამ ავადმყოფისათვის გაეკეთებინათ გულის ოპერაცია.

ჩვენს ქვეყანაში გულის ოპერაცია არცთუ ისე იშვიათად გაკეთებულა, ჯერ კიდევ 1902 წელს მოსკოველმა ქირურგმა პეტრე ალექსანდრეს-ძე გერცენმა ამოკერა გულის არეში მიყენებული ჭრილობა.

გულის ოპერაციებს წარმატებით აკეთებდნენ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ქირურგები — გრეკოვი, ჯანელიძე, ბაკულევი, მუხაძე, კუპრიანოვი და სხვები, რომლებმაც ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს გულმკერდის ღრუს ორგანოების ქირურგიის განვითარების ისტორიაში.

ათასეული წლების მანძილზე ადამიანის გული ხელშეუხებელი იყო ქირურგიისათვის. განა შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, რომ ვინმე გაბედავდა და ადამიანის მთრთოლვარე გულს საგულედან ამოიღებდა? ბოროტმოქმედი, სისხლისმსმელი ავაზაკი თუ ჩაიდენდა ამას. მაგრამ უკვე გასული საუკუნისა და ჩვენი საუკუნის მიჯნაზე რუსმა დოსტაქრებმა გაბედეს მთრთოლვარე გულის ხელში დაჭერა, რათა ადამიანისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

ქირურგიის ამ ურთულეს დარგში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებმა.

ამ მხრივ საინტერესოა გორკის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორის ნ. პ. სანიცინის მუშაობა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის გულის გადანერგვის დარგში. მან შეძლო ცივსისხლიანი ცხოველების გულის გადანერგვის პრობლემის გადაჭრა. მან შეძლო აგრეთვე ისიც, რომ ამოჭრილი გული აცოცხლა და ამუშავა. ეს ცდა მან ასე დააყენა: ამოჭრა ერთ ძაღლს გული და მიაკერა ის კისერზე მეორე ძაღლს, რომელსაც გული ნორმალურ ადგილას ჰქონდა. ასე გაშიშვლებულმა, კისერზე მიკერებულმა გულმა საკმაოდ ხანგრძლივად იმუშავა ნორმალურ გულთან ერთად.

გაშიშვლებული გულის მუშაობა ფართო მეცნიერულ დაკვირვების ასპარეზს უქმნის ადამიანს, საშუალებას აძლევს მეცნიერებს დაკვირვება აწარმოონ გულის მოქმედების მექანიზმზე. შეამოწმონ დაავადების მკურნალობის ესა თუ ის მეთოდი.

გულის ქირურგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ალექსანდრე პეტრეს-ძე ბაკულევის მუშაობას. მის კლინიკაში, მოსკოვში, ქირურგიული გზით

ჰკურნავენ სისხლძარღვოვანი სისტემის მთელ რიგ დაავადებას და, მათ რიცხვში, თანდაყოლილ გულის მანკს.

პროფესორ ბაკულევის კლინიკის გარდა გულის ოპერაციაზე ამჟამად წარმატებით მუშაობენ პროფესორები: უგლოვი, პეტროვსკი, კუპრიანოვი, ანთელავა და სხვა საბჭოთა მეცნიერები.

...ჰოდა, როგორც ვთქვით, გადაწყდა ავადმყოფისათვის გაეკეთებინათ გულის ოპერაცია. პროფესორმა ანთელავამ აიღო ხელში სკალპელი და შეუდგა ადამიანის სიცოცხლისათვის ბრძოლას. ბრძოლა ძნელი იყო. ოდნავი შეცდომა და, ავადმყოფი იქვე დალევდა სულს.

ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. ანთელავამ მოაცილა ავადმყოფის გულს მისი მუშაობის შემზღუდავი შეხორცებული ადგილები და აგრეთვე გულის პერანგის წინა კალთა. ავადმყოფი მალე გამოკეთდა. მას უკვე აღარ აწუხებდა გული და იგი დაუბრუნდა ნორმალურ ცხოვრებას. ეს იყო ის კაცი, ჩვენ რომ დავინახეთ ამ რამდენიმე წუთის წინათ ინსტიტუტის კიბეზე ამავალი.

ცოტა ხნის შემდეგ მე მას პროფესორ ანთელავას კაბინეტში შევხვდი. ახლა უკვე დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდი ამ ადამიანს. იგი მშვენივრად, მხნედ გამოიყურებოდა, და ახლა თავის მკურნალთან მორიგი საკონტროლო შემოწმებისათვის მოსულიყო.

„რა კეთილშობილია მოწოდება ექიმისა, რომელიც გამუდმებით ეწევა ბრძოლას ადამიანის სიცოცხლისათვის და სიკვდილს იჯაბნებს“, — უნებლიეთ გავიფიქრე მე.

— თქვენ, ალბათ, უკვე გიამბეს ამ ადამიანის შესახებ, — მომმართა პროფესორმა ანთელავამ. როცა მისი პაციენტი კაბინეტიდან გავიდა. — დიახ, ძალზე რთული ოპერაცია იყო, თუმცა, ეს პირველი ოპერაცია როდი იყო, რომელიც ჩამიტარებია გულზე. ცხრაჯერ მქონდა ასეთი შემთხვევა.

პროფესორ ნ. ვ. ანთელავა ამ ცოტა ხნის წინათ მოხსენებული იყო გაზეთ „პრავდაში“ ჩვენი ქვეყნის იმ მოწინავე მეცნიერთა შორის, რომლებიც წარმატებით მუშაობენ გულმკერდის ღრუს ქირურგიის განვითარების დარგში.

გამოჩენილი ქირურგისა და პედაგოგის გრიგოლ მიხეილის-ძე მუხაძის მოწაფემ ანთელავამ მუშაობა დაიწყო ქირურგად ზუგდიდის სამაზრო საავადმყოფოში.

და თითქოს გუშინ იყო, ისე ნათლად ახსოვს მას თავისი პირველი მძიმე ოპერაცია, რომელიც მან თითქმის ამ 30 წლის წინათ ჩაატარა.

შვიდი წლის გოგონა დაფეთებული გაექცა გაავებულ ძაღლს და თავის საშველად ხეზე აძვრა. ანაზდად ტოტი მოუტყდა, გოგონა გადმოვარდა და ღობის სარებზე ჩამოეგო. იგი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში. საოპერაციო მაგიდაზე იწვა დასახიჩრებული ბავშვი — მსხვილი ნაწლავი, წვრილი ნაწლავები, ღვიძლი, დიაფრაგმა, პლევრა, ფილტვები — ყველაფერი დაფლეთილი ჰქონდა. მისი გადარჩენა, თითქოს, წარმოუდგენელიც კი იყო. მაგრამ საბჭოთა ექიმის ვალია — ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში ბოლომდე იბრძოლოს ადამიანის სიცოცხლისათვის. და აი ახალგაზრდა ექიმი ანთელავა შეუდგა ოპერაციას.

ამ ოპერაციის შედეგი მოკლედ არის აღწერილი 1926 წლის „ახალ ქირურგიულ არქივში“... „ოპერაციის შემდგომ გართულებას არ ჰქონდა ადგილი: ავადმყოფი ერთი თვის შემდეგ დახურული ჭრილობებით გამოეწერა საავადმყოფოდან. ორი თვის შემდეგ ავადმყოფი გასინჯულ იქნა, გამოიყურება ჯანსაღად, მოიმატა წონაში 10 გირვანქა“.

ამის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ნ. ვ. ანთელავა მუშაობდა გულმკერდის ღრუს ქირურგიაში. დაჟინებით და შეუპოვრად მუშაობდა იგი თავის თავზე და ეუფლებოდა ფილტვების ტუბერკულოზის ოპერაციის გზით მკურნალობას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასობით ჭლექით დაავადებული იხსნა მან სიკვდილისაგან და დაუბრუნა ჯანმრთელობა.

დაზიანებული ნაწილის ან მთელი ფილტვის ამოჭრა, ფილტვის სისხლის ძარღვების გადაკვანძვა და სხვა რთული სახის ოპერაციები ახლა დიდი წარმატებით სრულდება პროფესორ ანთელავას კლინიკაში, როგორც თვით პროფესორის, ისე მისი თანამშრომლების მიერ.

ფილტვების ქირურგიის დარგში, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ იყენებენ ტორაკოპლასტიკის ახალ, ანთელავას მიერ შემოღებულ ვარიანტებს. ქირურგიულ პრაქტიკაში ფეხს იკიდებს აგრეთვე პროფესორ ანთელავას მიერ შემოღებული ინსტრუმენტები და ჟანგბადის მიმწოდებელი აპარატები.

თავისი მრავალწლოვანი გამოცდილება და დაკვირვებანი ქირურგიული მკურნალობის დარგში, პროფესორმა ანთელავამ გადმოგვცა კაპიტალურ ნაშრომში „გულმკერდის ღრუს ორგანოების ქირურგია“, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო სპეციალისტებისაგან.

ეს ნაშრომი დიდ დახმარებას უწევს ექიმებს პრაქტიკულ მუშაობაში.

პროფესორი ანთელავა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა კადრების მომზადებას. თვითონ სამაგალითო შრომისმოყვარე, თავისი საქმისათვის თავდადებული, შესანიშნავი ექიმი, საბჭოთა მეცნიერი ანთელავა მუდამ მოუწოდებს თავის მოწაფეებს უანგაროდ ემსახურონ მეცნიერებას, იბრძოლონ ადამიანის სიცოცხლისათვის, იბრძოლონ სიკვდილის დასათრგუნად.





**ფოტოზე — ზემოთ: პროფესორი ნ. ვ. ანთელავა საოპერაციოში; ქვემოთ: პროფესორი ნ. ვ. ანთელავა სინჯავს თავის პაციენტს, რომელსაც გულის ოპერაცია გაუკეთა.**

**ფოტო ვ. ჯეირანოვისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ დავითაშვილი

# ამბავი სოფელ ნატანებისა

მზის პირველი სხივები ციმციმებს ლიმონისა და ევკალიპტის ხეების ფოთლებზე, ბზინავს ახალთ-ახალი სახლების სახურავებზე. ლაჟვარდოვანი ზღვის ტალღები წყნარად შხაპუნობს ნაპირთან...

ამოდის მზე. ილვიძებს დიდი საკოლმეურნეო სოფელი ნატანები, რომელიც გადაშლილია შავი ზღვის სანაპიროზე, საბჭოთა სუბტროპიკების შუაგულში. სოფლის ქუჩებში მიიჩქარიან ბავშვები სკოლისაკენ, სამშობიარო სახლში მედიცინის და უვლის ძუძუმწოვარ ბავშვს, მანქანებით მოეშურებიან კოლმეურნეები პლანტაციებში...

ასე იწყება ფერადი სამეცნიერო-პოპულარული ხმოვანი ფილმი „ამბავი სოფელ ნატანებისა".

შესანიშნავად გადაღებული ფილმი (სცენარი ვ. კარსანიძისა, რეჟისორი ი. კანდელაკი, ოპერატორი ა. ფილიპოვი), ნათელ და დამაჯერებელ ფერებში გადმოგვცემს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სახელოვანი კოლმეურნეობის ცხოვრებასა და მუშაობას, გვიამბობს უხვი მოსავლის ოსტატებზე, საკოლმეურნეო მხიარულ შრომაზე.

სახელმწიფო აქტით რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ ნატანების სუბტროპიკულ კოლმეურნეობას დამტკიცებული აქვს მუდმივ სარგებლობაში სამი ათასი ჰექტარი მიწა. წარსულში თითქმის მთელი ეს მიწა გაუვალი ჭაობით დაფარულ მიდამოებს წარმოადგენდა. ნესტით გაჟღენთილ ჰაერში ციების კოღოები ირეოდნენ, ასნეულებდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ აქაურ მცხოვრებლებს.

კოლექტიურმა შრომამ, კომუნისტური პარტიისა და მშობლიური საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვამ გზა გაუხსნეს სოფელ ნატანების მცხოვრებლებს ისე, როგორც მთელ საბჭოთა გლეხობას, ახალი ბედნიერი და დოვლათიანი ცხოვრებისკენ. ნარინჯოვანი ციტრუსები, ტუნგოს ხე, ფართოფოთლიანი ბანანი, ლერწმის, ალოეს პლანტაციები, ბრინჯი, ვენახი... 16 სხვადასხვა სუბტროპიკული კულტურა მოჰყავთ ნატანებლებს, მაგრამ კოლმეურნეობის ძირითადი, წამყვანი კულტურა არის ჩაი, რომელიც არტელის სიამაყესა და სიმდიდრეს შეადგენს.

ნატანების კოლმეურნეობაში ადამიანმა ისწავლა „მწვანე ოქროს", როგორც სუბტროპიკულ რაიონებში უწოდებენ ხოლმე ჩაის მცენარეს, სარეკორდო მოსავლის აღება. უხვი მოსავლის ნოვატორები, ოსტატები მარტო ცალკეული მეჩაიეები როდი არიან, არამედ მთელი რგოლები, ბრიგადები, მთელი კოლმეურნეობა. ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა ნატანების კოლმეურნეობაში თითქმის ორჯერ აღემატება იმ მაჩვენებლებს, რომლებიც დადგენილია საქართველოსთვის მეხუთე სტალინური ხუთწლედის ბოლოსთვის.

ეს, რასაკვირველია, ბუნების წყალობა როდია. კადრი კადრს მისდევს და მაყურებლის თვალწინ იშლება ადამიანის ბრძოლა ბუნების ძალთა დასამორჩილებლად. ბუჩქნარის ამოძირკვა, მიწების დაგეგმვა, დათესვა, სასუქის შეტანა, კულტივაცია, სადრენაჟო თხრილების გაყვანა და გასუფთავება, ბუჩქის მკურნალობა, გასხვლა — მთელი ეს სამუშაო ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლელად დიდ შრომასა და შეუპოვრობას მოითხოვს.

ჩაის ყოველი ბუჩქი საჭიროებს ყოველდღიურ მზრუნველ მოვლას, ასეთი ბუჩქი კი ნატანებში ცოტა როდია — 500.000! ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა უზარმაზარი შრომის დახარჯვაა საჭირო, რომ ჩაის პლანტაციები კარგად ხარობდნენ, კარგ მოსავალს იძლეოდნენ.

ადამიანებმა აქ ისწავლეს ამ ძვირფასი მცენარის ნამდვილად მოვლა.

— კარგი ხარისხის მცენარეები კარგ მოვლას საჭიროებენ, — ამბობს დიქტორი მიჩურინის სიტყვებს, და ჩვენს თვალწინ იშლება მაღალი, ერთნაირი ზომის ჩაის ბუჩქების პანორამა. ესაა თვალნათლივი მაჩვენებელი იმისა, რომ ნატანების კოლმეურნეები ზუსტად იცავენ მიჩურინული მეცნიერების შესანიშნავ წესებს.

და ასე ყველგან, მრავალფეროვან სოფლის მეურნეობის ყველა დარგში: მემინდვრეობაში, მეცხოველეობაში, ციტრუსების მოვლაში...

ჩვენ ვხედავთ, ადამიანის მძიმე შრომას როგორ აადვილებენ მანქანები და მექანიზმები. ტრაქტორები იოლად თხრიან ძირფესვიანად ვეება ჯირკებს და ათავისუფლებენ ადგილს ახალი პლანტაციებისათვის. მინდვრებში კომბაინი იღებს სიმინდის უხვ მოსავალს. აი მანქანა, რომელიც სამთვლიან მოტოციკლს წააგავს. ამ, თითქოსდა, უბრალო თვითმავალ მანქანას შეუძლია შეასრულოს რამდენიმე პროცესი — მოახდინოს ბუჩქთა რიგების კულტივაცია, შეიტანოს სასუქი, ბუჩქებს ფორმა მისცეს, რაც ესოდენ საჭიროა ყლორტების სწრაფი ზრდისათვის.

მექანიზაცია მოიცავს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ურთულეს პროცესებს. ეკრანზე მოჩანს ჩაის ფოთლის მავნებლებთან საბრძოლველი საფუმიგაციო მანქანა. აქამდე ხელით წარმოებული ფუმიგაცია სამძიმოც იყო ადამიანისათვის და სახიფათოც მისი ჯანმრთელობისათვის. ახლა ეს სიძნელე გადალახულია. მექანიზირებულია აგრეთვე ციტრუსის ნარგავების მოსხურების პროცესიც.

სულ ამ ცოტა ხნის წინათ ჩაის მექანიზირებული კრეფა ფანტაზიად მოგვეჩვენებოდა. ახლა კი პლანტაციებზე მუშაობს ჩაისმკრეფი საუცხოო მანქანა.

სოფ. ნატანების კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლი.

ფოტო ა. ფილიპოვისა



ხედავ ყველაფერს ამას ეკრანზე, ხედავ ამ უახლეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და კიდევ უფრო ღრმად სწვდები სტალინური შესანიშნავი სიტყვების აზრს, გამოთქმულს მის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" — იმის შესახებ, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის წყაროს წარმოადგენს ჩვენს პირობებში განუწყვეტლივ მზარდი თანამედროვე ტექნიკა, როცა ძველი მანქანების შემცვლელად მოდიან ახალი მანქანები, ახლის შესაცვლელად — უახლესი.

მაგრამ ყველაზე მთავარი სიხარული, სიამაყე და სიმდიდრე კოლმეურნეობისა არის ახალი ადამიანი, შემოქმედი და მშენებელი, აღზრდილი დიადი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

ასეთი ადამიანები ნატანებში ცოტანი როდი არიან. უხვი მოსავლის ოსტატს, მერგოლურ დარეჯან ტაკიძეს, რომლის სახელი კარგად ცნობილია რესპუბლიკის საზღვრებს იქითაც, მრავალი მიმდევარი ჰყავს. აი, ისინი, ჩაის ფოთლის მკრეფავები: ლიუდა ხურციძე, ლოლა გოგოტიშვილი, ალექსანდრა ბოლქვაძე, მარო გორგილაძე, რომლებიც ყოველდღე 3-4 ნორმას ასრულებენ. ლოლა გოგოტიშვილმა უკვე გაუსწრო თავის სახელოვან მასწავლებელს. გასულ წელს მან მოკრიფა 7.000 კგ. ჩაის ფოთოლი ნახევარ ჰექტარ ნაკვეთიდან. უცხოეთში ჩაის მოყვანის ისტორიას არ ახსოვს ასეთი მოსავალი.

მეჩაიეებს ცვლიან მეციტრუსეები. გივი ნაკაიძე — ერთ-ერთი საუკეთესო მყნობელია. მას ზუსტი ხელი აქვს და სწორი თვალი. იგი ასობით ციტრუსს ამყნის დღეში. დავით ნაკაიძე — უხუცესი მეციტრუსეა. იგი თავის გამოცდილებას ახალგაზრდა კადრებს უზიარებს. პატივისცემით სარგებლობს მეაბრეშუმე ნელი ხომერიკის სახელი. მან ერთი კოლოფი აბრეშუმის თესლიდან ასი კილოგრამი აბრეშუმის ჭიის პარკი მიიღო. აი, ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ივანე გორგილაძე. მისმა ბრიგადამ პირველმა მიიღო კოლმეურნეობაში მილიონიანი შემოსავალი და პირველმა დანერგა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მუშაობის საათობრივი გრაფიკი მოსკოველი სტახანოველი ქალის ხრისტაფონოვას მეთოდის მიხედვით. ამის შედეგად ბრიგადის ყველა მკრეფავი მოწინავეთა დონემდე ავიდა.

მათ, კოლმეურნე ნოვატორებმა მოუპოვეს ნატანების კოლმეურნეობას მოწინავე გამოცდილების სკოლის სახელი.

აქ მოდიან სტუმრები, რომ ისწავლონ სახელგანთქმული ჩაისა და ციტრუსების ოსტატებისაგან მუშაობა, მოდიან მეზობელ რაიონებიდან და იმ მოძმე რესპუბლიკებიდან, სადაც ჩაი და ციტრუსი სულ ახალი შემოღებულია. აქ მოდიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდანაც. ყურადღებით უსმენენ ქართველ მეჩაიეებს და თავიანთ ბლოკნოტებში შენიშვნები შეაქვთ უხვი მოსავლის ოსტატების გამოცდილებიდან. აღფრთოვანებით და სიხარულით უცქერიან ისინი შესანიშნავ საბჭოთა მანქანების მუშაობას. ძნელი მოსათმენია, რომ ასეთი მანქანები საკუთარი ხელით არ მოსინჯო. სტუმრები სათუთად ეხებიან ხელით მსოფლიოში პირველ საბჭოთა ჩაის საკრეფ მანქანებს.

კოლმეურნეობის მახლობლად არის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, სადაც მუშაობს ცნობილი სელექციონერი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი ქსენია ბახტაძე.

მოწინავე საბჭოთა მეცნიერი კოლმეურნეობის ხშირი სტუმარია. იგი ეხმარება ნატანების კოლმეურნეებს ახალი უხვმოსავლიანი ჩაის ჯიშის დამკვიდრებაში.

ორი ციფრი სიტყვებზე უკეთ მეტყველებს იმ დიდი ცვლილებების შესახებ, რაც ნატანებელთა ცხოვრებაში მოხდა. 1952 წელს არტელის ფულად შემოსავალს შეადგენდა 14.105.754 მან. 1930 წელს, კოლმეურნეობის დაარსების პირველ წელში, არტელის შემოსავალი იყო 52.735 მან. არტელის ბუღალტერია — კოლმეურნეობის სარკეა. მაყურებლის თვალწინ გადაშლილია კოლმეურნეთა წიგნაკები. 41.000, 57.000, 37.000, 81.000... წიგნაკებში შეტანილი ეს მეტყველი ციფრები ნიშნავენ წლიურ ფულად შემოსავალს, რომელსაც კოლმეურნეები ღებულობენ შრომადღეებზე, გარდა ნატურისა.

შეუპოვარ შრომაში გადის გრძელი ზაფხულის დღე. ღამდება. სახლებსა და საზოგადოებრივ შენობებში ილიჩის ნათურა ინთება. რა გააკეთოს საღამოთი კოლმეურნემ? სხვადასხვაგვარია თვითეული მათგანის სულიერი ცხოვრების სამყარო. ზოგი მიიჩქარის კინოთეატრში ახალი ფილმის სანახავად, ზოგი ბიბლიოთეკაში — წიგნის გამოსაცვლელად, ზოგი თვითმოქმედ წრეში სამეცადინოდ მიდის. არიან ისეთებიც, რომლებსაც აინტერესებთ მიჩურინული მეცნიერება, რუსული ენა. ასეთი კოლმეურნეებისათვის კულტურის სახლთან შექმნილია სპეციალური წრეები.

კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობანი არსებობს კოლმეურნეთა დასასვენებლად კვირა დღეს. ფილმში ნაჩვენებია ერთი ასეთი კვირა დღე. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აქ ექსკურსიები. ვინ რუსთავში—ქართველ მეტალურგთა ახალ ქალაქში მიდის, ვინ კიდევ გორში — ი. ბ. სტალინის სამშობლოში. ზოგი ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელ პლანტაციებზე. აი ნატანებლები ბათუმში — აქ ეცნობიან ისტორიულ ადგილებს.

ლენინის ორდენოსანმა თბილისის კინოსტუდიამ ამ ფილმის გამოშვებით უთუოდ კარგი საქმე გააკეთა.

ფილმის ავტორებმა — სცენარისტმა, რეჟისორმა, ოპერატორმა და კომპოზიტორმა შექმნეს კარგი ნაწარმოები კოლმეურნეთა შთამაგონებელ შრომაზე, უხვი მოსავლის ოსტატებზე.

ახალი ფილმი სოფელ ნატანებზე მოწმობს არა მარტო მისი დამდგმელის ი. კანდელაკისა და ოპერატორის ა. ფილიპოვის სერიოზულ შემოქმედებითი ზრდას, — იგი ქართველი კინემატოგრაფების დიდ შესაძლებლობაზეც ლაპარაკობს.

ფილმის შინაარსთან ჰარმონიულად შერწყმულია სტალინური პრემიის ლაურეატის ო. თაქთაქიშვილის მიერ დაწერილი მუსიკა.

ამ კარგ ფილმს ზოგიერთი ნაკლი მაინც აქვს: დიქტორის ტექსტში გვხვდება განმეორებები. მაგალითად რამდენჯერმეა ნახსენები კოლმეურნეობის ბიბლიოთეკა და ჭადრაკის თამაში. კორესპონდენტებთან შეხვედრის კადრები რამდენადმე ხელოვნურია. ხუთნაწილიან ფილმში შეიძლებოდა ადამიანთა პირადი ცხოვრების უფრო ღრმად ჩვენება; დამდგმელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მარტო დიქტორის ტექსტით.

მიუხედავად ასეთი ხარვეზებისა, ფილმი, უდავოდ, მიეკუთვნება საბჭოთა დოკუმენტალური კინოხელოვნების საინტერესო და მნიშვნელოვან ნაწარმოებთა რიცხვს.

# სიმართლე თანამედროვე თურქეთზე

**გ. ბახტურიძე**

თურქი კომუნისტის ს. უსთიუნგელის წიგნში — „საპყრობილე და „თავისუფლება“, რომელიც „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა, აღწერილია თურქეთის კომუნისტური პარტიის შეუპოვარი ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ. ეს ნაწარმოები თურქეთში იბეჭდებოდა იატაკქვეშ, არალეგალურად და ვრცელდებოდა მშრომელთა ფართო მასებში. პოლიციის თვალისასახვევად წიგნს ერქვა „ფოტოგრაფი“, გარეკანზედაც ფოტოაპარატი იყო გამოსახული. ავტორი თვითონვეა მონაწილე იმ ამბებისა, რაც წიგნშია მოთხრობილი.

ს. უსთიუნგელის წიგნის წაკითხვასას თვალწინ წარმოგიდგებათ ის საშინელება—სილატაკე, შიმშილი, მკვლელობა, ნაციონალური ჩაგვრა, — რასაც თურქეთის გამყიდველი მთავრობა აწარმოებს ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა კარნახით. წიგნში ნაჩვენებია ლაზების, სომხების, ბერძნების, ქურთების, — ყველა ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა, წარმოუდგენელი ტანჯვა და დამცირება.

უსთიუნგელი მოგვითხრობს ერთ ახალგაზრდა პატიმარ ლაზზე, რომელმაც ერთი კონა ბრინჯისათვის მკვლელობა ჩაიდინა. ავტორი წიგნში ხაზგასმით აღნიშნავს ლაზების კეთილშობილებას, ვაჟკაცობას, რევოლუციურ განწყობილებას. ლაზებს ასახლებენ თავიანთ მშობლიურ სოფლებიდან, ნასოფლარებზე გაჰყავთ სამხედრო მნიშვნელობის გზები, აგებენ აეროდრომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. მთელს თურქეთში 460 ციხეა, მაშინ როდესაც ოცდათვრამეტი ათასი სოფლიდან ოცდასამათასში დაწყებითი სასწავლებელიც კი არ არის.

აპატიმრებენ ყველას, ვინც ხმას აიმაღლებს მშვიდობის დასაცავად, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სატუსაღოებშია გამოკეტილი თითქმის ყველა პროგრესული ადამიანი, მშვიდობის მომხრეთა თურქეთის საზოგადოების წარმომადგენელი ფეხმძიმე ქალი ბოჰიჯე ბოქონიც კი. წიგნში დამაჯერებლადაა აღწერილი ერთი სტუდენტი ქალიშვილის თავგადასავალი: იგი ავრცელებდა მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების მოწოდებებს, თურქ ფაშისტთა მიერ კორეაში საზარბაზნე ხორცის გაგზავნის შეწყვეტის მოთხოვნით. ამისათვის დღისით ხალხმრავალ ქუჩაზე ქალიშვილი შეიპყრო პოლიციამ და ამერიკული დახურული მანქანით გაუყენა სატუსაღოს გზას. ასეთი განგსტერული ხერხებით აშინებენ ქემალისტები ხალხს.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია თურქეთის მთავრობის დამოკიდებულება და რეაქციული ზრახვები საბჭოთა კავშირისადმი, დიდი სამამულო ომის წინა დღეებში და სამამულო ომის პერიოდში. ეს მომენტი ავტორს წიგნში შეტანილი აქვს დღიურების სახით, რომელიც ეკუთვნის პაპა ბელგეთოფლარს.

ჩვენს ქვეყანაზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმამდე სამი დღით ადრე ანკარამ მეგობრობის პაქტი დასდო ბერლინთან. გერმანიის ელჩი თურქეთში, ცნობილი პროვოკატორი ფონ პაპენი თავის ნებასურვილზე ატრიალებს პრეზიდენტ ინენიუს. საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული 170 დივიზიის მუხანათურად თავდასხმის გამო თურქეთის რეაქციონური გაზეთების ფურცლებზე წერია: გერმანია მართებულად მოიქცა, რომ თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გერმანელებმა უნდა გაანადგურონ საბჭოთა ჯარები უკანასკნელ ადამიანამდე. სტალინგრადში არნახული ბრძოლები წარმოებს. ამ დიდ ბრძოლებში საბჭოთა ხალხს და არმიას თანაუგრძნობდნენ თურქი კომუნისტები, მშრომელები. პრემიერ მინისტრი სარაჯოღლუ საბჭოთა კავშირის სამხრეთის საზღვრებზეა. თურქეთის ჯარებსაც უკეთებენ მობილიზაციას და ჩვენი საზღვრებისაკენ გზავნიან. ჯარის ნაწილებში დაიგზავნა სამხედრო „ბრძანება № 1“ საომრად მზადყოფნისათვის. თურქი ფაშისტები ოცნებობენ კავკასიის ხალხების მონებად გადაქცევაზე და დასძენენ: „აუცილებელია რუსებს წაერთვათ მდიდარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონები კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე“. მაგრამ გერმანელ ფაშისტებსა და თურქ რეაქციონერებს გეგმები ჩაეშალათ. ჰიტლერი და მისი „უძლეველი“ ჯარები დაამარცხა გმირულმა საბჭოთა არმიამ.

უსთიუნგელი მუქი საღებავებით ხატავს თურქეთის საპატიმროებს და მის ჯურღმულებში გამომწყვდეულ პატიოსან ადამიანებს. წიგნში დახატულია სცენები, თუ როგორ ატარებენ გავარვარებულ ნაკვერცხლებზე ფეხშიშველ ადამიანებს, როგორ უწვავენ კანს ანთებული პაპიროსით და სხვ.

თურქეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ქემალისტების მიერ „კანონგარეშეა“ გამოცხადებული, შეიარაღებულია ლენინ-სტალინის უძლეველი იდეებით. პატიმრები საპყრობილეშიაც კი კითხულობენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს. თურქეთის მუშათა კლასი ამაყობს თავისი კომუნისტური პარტიით. წიგნის დასასრულს უსთიუნგელი წერს: „მე თურქეთის კომუნისტური პარტიის რიგითი მებრძოლი ვარ. მეც მოვახერხე გამოვქცეულიყავი, დამეღწია თავი მეციხოვნეთა, პოლიციის, ჟანდარმების კლანჭებისათვის. მე კვლავ ხალხის შუაგულში, ხალხის ზღვაში ვარ! მე ისევ ბრძოლის ველზე ვარ“.

წიგნი თარგმნილია თ. შავიშვილის და გრ. მაჭავარიანის მიერ. სამწუხაროდ, წიგნში მრავლად გვხვდება ბუნდოვანი და გაუმართავი გამოთქმები.

ს. უსთიუნგელის წიგნი „საპყრობილე და „თავისუფლება“ გამსჭვალულია ღრმა ოპტიმისტური რწმენით, რომ თურქი ხალხი გადაიგდებს მონობის უღელს, თვითონ ჩაუდგება სათავეში სახელმწიფოს მართვაგამგეობას და დადგება მშვიდობისა და დემოკრატიის სადარაჯოზე.

## წითელი ესკადრონები*

**ქრისტო სმირნენსკი**

დიდი ერის განთიადზე, ახალ რწმენის ნათელ გზაზე
ბრძოლებში აქვთ ესკადრონებს, ცეცხლს აფრქვევენ თვალებით;
ფრთაგაშლილი არწივები, აფრენილნი ქარწვიმებით
გზებს არბევენ ნაიარევს ტყვიით და ყუმბარებით.

აგერ ერთი ცხენი შედრკა, აიმართა, ყალყზე შედგა,
ტყვიით გულ-მკერდ გაგლეჯილი ძირს დავარდა ვაჟკაცი;
ერთი წუთით შედგა ცხენი, მერე ისევ სწრაფი ფრენით
კვლავ ესკადრონს შეერია, გაქანებულ ლაშქარში.

ქარში ფაფარაშლილები, ტრიალ ველზე გაჭრილები,
ცხენოსანნი გრიგალივით მისძახიან ცხენოსანთ
და ქუხანთა ფლოქვის ბგერით მაღლა მიჰქრის შავი მტვერი
იმ შორეულ ჰორიზონტებს მინდისფრად რომ შემოსავს.

უცებ ატყდა თოფის სროლა, გაჩნდა, გაჩნდა ფიცხი ბრძოლა,
გმირებს მტერი შეეჩეხა მოულოდნელ საფარიდან,
რკინა რკინას დაეჯახა, მაგრამ მტერმა მარცხი ნახა
და გმირული ესკადრონი კვლავ წინ მედგრად გაფრინდა.

ჰე, იფრინეთ მთელის ძალით, მილიონთა გიცქერთ თვალი,
იმედით და სიყვარულით მოგდევთ მათი გულები;
ოცნებებით ძველისძველით ეს ქვეყანა შვებას ელის,
მაგ ყიჟინით მეომრულით, მოხიბლული სრულებით.

ჰე, იფრინეთ ცეცხლის ალში, ამოვარდნილ ქარიშხალში,
ახალ ერის მაცნეებო, მცველნო მილიონების;
ძველი ქვეყნის შავბნელ დღეებს, დარბაზებს და სასახლეებს
ამცნეთ ბრძოლად წარმოდგომა გაღვიძებულ მონების.

და როდესაც მტრის სიმაგრეთ საბოლოოდ მიმოანგრევთ,
კაცთა კვნესა არ იქნება ციხის ბნელ ჯურღმულებში,
თქვენც ჩამოხტით ცხენებიდან, დაქანცულნი ჭენებითა,
ქვეყნად შვება დაამყარეთ და მშვიდობა გულებში.

თარგმანი ბულგარულიდან **ირ. აბაშიძისა**

* ეს ლექსი დაწერილია თეთრპოლონელებზე პირველი ცხენოსანი არმიის ლაშქრობის შთაბეჭდილებით. 1920 წ.

ქართველ მწერალთა წიგნები უკრაინულ ენაზე: მარცხნიდან მარჯვნივ — გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“, აკაკი წერეთლის „რჩეული ნაწერები“, შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“ და ილო მოსაშვილის პიესა „ჩაძირული ქვები“.






საჯარო ბიბლიოთეკა

# გრ. მაისურაძის ახლად ნაპოვნი სურათი

ლ. შერვაშიძე

გრიგოლ ივანეს-ძე მაისურაძე, განთავისუფლებული ყმა-გლეხი, პირველი ქართველი მხატვარი იყო, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

გრიგოლ მაისურაძის შემოქმედება და მოღვაწეობა ჯერ ნაკლებადაა შესწავლილი. შესაძლოა, ნაწილობრივ ეს აიხსნას მით, რომ ჩვენამდე მოღწეული მისი მხატვრული მემკვიდრეობა დიდი არ არის. იგი შედგება სულ ექვსი სურათისგან, რომლებიც ამჟამად ინახება საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ამიტომ გრიგოლ მაისურაძის ყოველი ახალი, ჯერ უცნობი ნაწარმოების მოპოვება უთუოდ საინტერესოა, მეტადრე თუ იგი ხელმოწერილია მხატვრის მიერ და დათარიღებულია.

1951 წლის 26 აგვისტოს, დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის (ე. წ. ლომისის) დაჰვალიერების დროს, ნახული იყო ტილოს დაჰმუჭნილი და დაგლეჯილი ნაჭერი ზეთის საღებავების ფენით. ტილოზე დახატული სახე აღმოჩნდა, სამწუხაროდ, ძალიან დაზიანებული. სურათის ზომა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ნაწილს, რომელიც აკლია, დაახლოებით 55×65 სმ. უდრის. სურათის ზურგზე, ტილოს შუაზე მოთავსებულია წარწერა, შესრულებული შავი საღებავით, მსხვილი ასოებით. წარწერა ნაწილობრივ დაღუპულია, მაგრამ ადვილად აღსადგენია.

წარწერა გაკეთებულია თვით გრიგოლ მაისურაძის ხელით, რასაც ამტკიცებს შედარება მხატვრის ხელისმოწერასთან სხვა სურათებზე, განსაკუთრებით ის, რომ მის ხელისმოწერას აქვს დამახასიათებელი მონასმი გვარის დაწერის შემდეგ. ტილოს წინა პირზე, მარცხნივ, ქვემოთკენ, აგრეთვე არის ძალიან ცუდად შენახული და ამიტომ ძნელად გასარჩევი ხელისმოწერა შესრულებული წითელი საღებავით.

სურათი დაწერილია შეკვეთით, სარწმუნოებრივ თემაზე, რაც მხატვარს ერთგვარად ზღუდავდა და აიძულებდა განსაზღვრული ნიმუშების ფარგლებში მოქცეულიყო. ეს სურათი არ შეიძლება მივაკუთვნოთ გრიგოლ მაისურაძის საუკეთესო ნაწარმოებთ, როგორიცაა მისი რეალისტური პორტრეტები ნატურიდან, რომელთა გვერდით მის სარწმუნოებრივ გამოხატულებებში განსაკუთრებით იგრძნობა შაბლონისა და აკადემიური რუტინის ერთგვარი ბეჭედი, მხატვრის მოწყვეტა საღ რეალისტურ ნიადაგიდან და გადასვლა განყენებული აკადემიზმის სფეროში.

მაგრამ, მაინც, ამ ძლიერ დაზიანებულ ნაწარმოებშიც ბევრი რამ მოწმობს როგორც თვით მხატვრის ოსტატობას, ისე მის მიერ ათვისებულ მაღალ სკოლას. თავშეკავებული, ჰარმონიული კოლორისტული გამა; ფორმის ნაზი, რბილი მოდელირება ნათელითა და ჩრდილით, რომლებიც მას თითქოს ერთგვარი ნისლით მოიცავენ; თბილი, მოწითალო ელფერი სახის დაჩრდილულ ადგილებში, ღრმა ნეიტრალური არე და ამასთანავე ძალიან გლუვი, რბილი და თანაც თავისუფალი წერა, შესანიშნავი გადმოცემა წყნარი კაეშნისა და მოქანცულობის გამომეტყველებისა, ყველაფერი ეს, მხატვრის ხელისმოწერის გარეშეც გვიჩვენებს, რომ სურათი ხატების მხატვარ-ხელოსნის ფუნჯს კი არ ეკუთვნის, არამედ მოწიფულ და მაღალი მხატვრული სკოლის მქონე მხატვარს.

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაში გრ. მაისურაძის ნამუშევართა შორის არის მისი ხელმოწერილი და დათარიღებული სურათი — ქრისტეს გამოხატულება წელს ზევით.

თარიღის უკანასკნელი ციფრი დაზიანებულია ქვემო ნაწილში და მკაფიოდ არ ირკვევა. სურათი ითვლება შესრულებულად 1869 წელს, ე. ი. იმავე წელს, როდესაც დახატულია დიღმის ეკლესიაში ნაპოვნი სურათი, მაგრამ უკანასკნელი ციფრის ჰორიზონტალური ხაზული იძლევა საფუძველს ჩავთვალოთ იგი 2-ად და არა 9-დ, ე. ი. თარიღი 1862 წელია.

განსხვავება შესრულებაში უფრო იმას გვეუბნება, რომ ამ ორი სურათის შესრულების თარიღებს შორის გარკვეული მანძილია, ვიდრე იმას, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს არის შესრულებული.

მართლაც; როცა ვადარებთ დიღომში ნახულ სურათს ხელოვნების მუზეუმში დაცულ სურათს, ვხედავთ, რომ თუმცა საერთო ტიპი განმეორებულია, ერთნაირია სახის გამომეტყველებაც, მაგრამ დიღმის სურათს აქვს უფრო რბილი და ამასთანავე უფრო თავისუფალი მანერა შესრულებისა. მკაცრი საზეიმო ფრონტალობის მაგიერ, რომელსაც ვხედავთ 1862 წლის სურათში, აქ თავი ოდნავ მოტრიალებულია, უფრო რბილად მოდელირებულია ნათელ-ჩრდილით. ღია იასამნისფერ და მოცისფრო ცივი ჩრდილების მაგიერ, სახეზე მომიხაკისფრო და მოწითალო ჩრდილებია, კოლორიტი უფრო თბილია.

იმავე ეკლესიიდან ხელოვნების მუზეუმში მოტანილ გრიგოლ მაისურაძის კიდევ ერთ სურათზე გამოხატულია ახალგაზრდა წმინდანი, წიგნით და გრაგნილით, მის გვერდით გველიანი ჭურჭელია (საფიქრებელია, წმინდანი იოანე მახარობელს წარმოადგენდეს). სურათზე ნემსით ამოკაწრულია მხატვრის ხელისმოწერა და თარიღი—1870 წელი. ეს ორი სურათი ძალიან ახლოა ერთმანეთთან, როგორც შესრულებითა და კოლორიტით, ისე ფიგურათა მასშტაბით. ის, რომ ორივე სურათი ერთსა და იმავე ეკლესიაშია ნაპოვნი, მათი ერთნაირი შესრულება, გამოხატულებათა ერთნაირი მასშტაბი, ქრონოლოგიური სიახლოვე, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ შესაძლოა, მეორე სურათიც შეკვეთილია იმავე პირის, ელიოზიშვილის მიერ დიღმის ეკლესიისათვის.



სურათი ქრისტეს გამოხატულებით უფრო ადრეა შესრულებული (1869 წ) გარდა ხელისმოწერისა, რომელიც სურათის ქვემოთაა, მას აქვს ზურგზე დიდი წარწერა, რომელიც იძლევა ცნობებს შემწირველზე, მხატვარზე და შესრულების თარიღზე.

როგორც სთვლიან, მხატვარი მაისურაძე 1850 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუდმივად ცხოვრობდა ქუთაისში, სადაც კლასიკურ გიმნაზიაში ასწავლიდა ხატვას, სუფთაწერას და ხაზვას (მ. დუდუჩავა, ახალი ქართული ხელოვნება, თბილისი 1950 წელი გვ. 22).

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შემკვეთელი, რომელიც სურათზეა დასახელებული — მიხეილ გიორგის-ძე ელიოზოვი კავკასიის კალენდარში 1863 წლიდან 1889 წლამდე მოხსენებული მიხეილ იაგორის-ძე ელიოზოვია, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეჭირა მოხელეთა შორის და მუშაობდა თბილისში, ხოლო ორი წელიწადი, 1869 და 1870 წლები, ქუთაისში. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქუთაისში ყოფნის დროს ელიოზოვს შეუკვეთია მაისურაძისათვის ეს სურათები.

სურათი შენამატია გრიგოლ მაისურაძის მცირერიცხოვანი მემკვიდრეობისათვის. იგი საინტერესო მასალას წარმოადგენს ხალხის წრიდან გამოსულ — ქართული პორტრეტული მხატვრობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მხატვრის შემოქმედების კვლევისათვის.

აცის კარის
წინა პირი



რ. ჯომიდავა

# საინტერესო ძეგლი

X-XI საუკუნეში, საქართველოში ქვაზე მოჩუქურთმების პარალელურად ხეზე ამოჭრით მოჩუქურთმების ხელოვნებამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია.

ხეზე მოჩუქურთმების დღემდე ცნობილ ძეგლებს შეემატა კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში, რომელიც შესამჩნევად განსხვავდება დღემდე აღრიცხული ძეგლებისაგან.

ეკლესია, სადაც ეს ძეგლია ნაპოვნი (და ამჟამადაც ინახება) მდებარეობს მესტიის რაიონის ერთ-ერთ ყველაზე ძნელად მისასვლელ ადგილას — სოფელ აცადან 2 კილომეტრის მანძილზე, ე. წ. ვიფნაშის დავაკებაზე. ძეგლი წარმოადგენს ეკლესიის კარს (იხ. ფოტო) სიმაღლე 1,50 სმ. სიგანე 70 სმ. მასალა კაკლის ხისაა.

კარი შედგება რვა ოთხკუთხედისაგან, რომლებიც გარშემოვლებულია ორნამენტებიანი ჩარჩოებით; ორნამენტებად მოცემულია თოკისებრი გრეხილი, ფოლაქისებრი ამოჭრილობა და სწორი ხაზები. კარის ნაწილები შეკრულია ლითონის ლურსმნებით.

საინტერესოა ის, რომ კარის რვავე ოთხკუთხედი წარწერიანი ყოფილა, რომელთაგან კარგადაა შენახული წარწერა მხოლოდ ზედა ორ ოთხკუთხედში, განსაკუთრებით კი — მარჯვენა მხარისა, რომელსაც შედარებით კარგად იცავდა ეკლესიის სახურავი. წარწერა ექვს სტრიქონიანია და შესრულებულია მრგვლოვანი ხუცურით.*

წარწერა X საუკუნის შემდეგი დროისა უნდა იყოს, რასაც მოწმობს ზოგ ასოთა, მაგალითად, „ვ" და „ქ"-ს პალეოგრაფიული მოხაზულობა („ვინ"-ის მარცხენა კიდურზე მარცხნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზი დამახასიათებელია გვიანდელ XI — XII საუკუნის ეპიგრაფიკისათვის. ასევეა ასო „ქ"-ის ჰორიზონტულ შტრიხზე ბოლოების გადაზნექვა ადრინდელ ძეგლების ამ ასოს არ ახასიათებს).

ამგვარად, ამ წარწერით და ასევე ხელოვნების სხვა მონაცემებით ძეგლი თარიღდება XI საუკუნით.

კარს წარწერა აქვს მეორე მხარეზედაც, რაც თავისებურია, — თითო ასო ამოჭრილია თითო ოთხკუთხედში. ეს ასოები ცალ-ცალკე იკითხება, მაგრამ მთლიანობას არ იძლევა, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ასოები რიცხვითი მაჩვენებლებს გამოხატავს (რაც ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია) არც ეს მტკიცდება, რადგან ალფაბეტის სისტემა დაცული არაა. ჩვენის აზრით, ეს უნდა იყოს ხელოსნის მიერ გაკეთებული პირობითი ნიშნები — კარის ნაწილების ასაწყობად (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ასოები კარზე გადმობრუნებულადაა ამოჭრილი).

ამგვარად, აცას ეკლესიის კარი საინტერესოა როგორც ხეზე ამოჭრის ხელოვნების, ისევე წარწერის თვალსაზრისითაც, რაც ღრმა ანალიზსა და შესწავლას საჭიროებს.

* წარწერა ამოიკითხა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მეცნიერ თანამშრომელმა თ. ხაყომიამ.

## ჩინური მცენარე

ლენინგრადის ბოტანიკურ ბაღში ხარობს ლამაზი ხე, რომელიც ბალახფიჭვას მოგვაგონებს. გაზაფხულზე ის იმოსება მწვანე ნემსისებრი ფოთლებით, შემოდგომით კი ეს ფოთლები მოკლე ტოტებთან ერთად ცვივა. ეს მეტასეკვოია გახლავთ, მწვანე სტუმარი ჩინეთიდან.

მეტასეკვოიას ბევრი საერთო აქვს კალიფორნიისა და ორეგონის შტატების გიგანტურ სეკვოიებთან. შორეულ წარსულში, მილიონი წლების წინათ, მეტასეკვოია მოდებული იყო აზიის უზარმაზარ ფართობზე, მოყოლებული ჩრდილოეთის უკიდურეს განედიდან კორეამდე, ჩინეთამდე და ყაზახეთის ზაისანას ტბამდე.

მეტასეკვოია გადაშენებულ მცენარედ ითვლებოდა, მაგრამ 1941-1944 წლებში ჩინელმა მეცნიერებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს სიჩუანისა და ხუბეის პროვინციების ტყეებში ამ მცენარის ცოცხალი ეგზემპლარები; მათ შორის ზოგიერთი 50 მეტრის სიმაღლეს აღწევდა. როგორც გამოირკვა, მეტასეკვოიას ამ რაიონებში 800 კვ. კილომეტრი ფართობი უჭირავს; დედამიწის სხვა ადგილებში ის არსად გვხვდება.

უკანასკნელ წლებში ბოტანიკოსებმა ეს საინტერესო მცენარე საცდელად დარგეს სულ სხვადასხვა კლიმატურ რაიონებში. ნარგავებმა გვიჩვენეს, რომ მეტასეკვოია უძლებს ძლიერ ყინვებს და ადვილად იტანს ტროპიკულ სიცხეს.

ჩინელი მეცნიერების მიერ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში გამოგზავნილი ამ მცენარის თესლი საცდელად დაეგზავნა ჩვენი ქვეყნის მრავალ ბოტანიკურ ბაღს.

## საბჭოთა სუბტროპიკული მცენარეები

უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე აკლიმატიზირებულია სამხრეთულ მცენარეთა 1200-ზე მეტი სახეობა, რომლებიც შემოტანილია დედამიწის სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამ მცენარეთა დიდმა ნაწილმა გაუძლო 1949-1950 წლის მკაცრ ზამთარს.

მათგან განსაკუთრებით საინტერესოა და სუბტროპიკების სხვა რაიონებში გასავრცელებელია ლამაზი დეკორატიული მარწყვის ხე, ჩინური ხე კუქ-კუნგ-ტუნგი — ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცი სუბტროპიკული მცენარე, იაპონური მარადმწვანე ბუჩქნარი კაძურუ, მექსიკური შოთხვი, ჩილიური მაირენი — საუკეთესო მცენარე ქუჩებში დასარგავად, წიწვიანი ხე ტაივანიუ.

## ნეკრესი

ყვარელსა და სოფელ შილდას შორის, კავკასიონის ქედის ერთ-ერთ წინ წამოწვდილ დაქანებულ სერზე მოჩანს ძველთაძველი არქიტექტურული ძეგლი — ნეკრესის ეკლესიის ნაშთი. ამ მთის ფერდობებზე, რომელიც საუკუნოვანი ტყით არის დაფარული, ქალაქი ნეკრესი ყოფილა გაშენებული.

მაღლობზე, თვალსაჩინო ადგილას, ხალხისაგან შორს აუშენებიათ იგი.

„მოქცევაი ქართლისაი"-ს ქრონიკის ცნობით ეს ეკლესია აშენებულია ბაკურის ძმის, მირიანის შვილიშვილის თრდატ მეფისა და საქართველოს მთავარეპისკოპოზის იობის დროს მეოთხე საუკუნის მესამე მეოთხედში". — ასე განმარტავს ნეკრესის ეკლესიის აშენების თარიღს აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი.

ეს ძეგლი დაცულია. ახლახან საურმე გზაც კი აღადგინეს. მიჰყვები ამ გზის ხვეულებს ბებერ მუხებსა, ასევე მობერებულ, თითქმის გადამხმარ კუნელებს შორის, შესცქერი ახლად შეფოთლილ იფანს, ცაცხვს, ნეკერჩხალს, რცხილას, ამ ბუნებით მდიდარ მდუმარე ტყეს და შორეული წარსული წარმოგიდგება თვალწინ. აქ, ამ ჭალებსა და ფერდობებში, ოდესღაც დუღდა ცხოვრება ქალაქისა. აშკარად ეტყობა ვაკე ადგილები — ნასახლარები და ეზოები.

მაღლობზე, საკმაოდ დიდ ტაფობზე, შემონახულია რამდენიმე არქიტექტურული ძეგლი. პირველია მეოთხე საუკუნეში ადგილობრივი კლდის ქვით აშენებული პატარა ეკლესია, რომლის აგებასაც აბიბოს ნეკრესელს მიაწერენ. მეორე ნაშთი მეექვსე საუკუნეს ეკუთვნის, იგი ბევრად სჯობს პირველს სიდიდითაც და არქიტექტურული გაფორმებითაც. დანარჩენი ორი მერვე და მეცხრე საუკუნის ძეგლებს წარმოადგენენ. ეს უკანასკნელი რამდენიმე სართულიანი სასახლე ყოფილა, მაღალთაღიანი კარითა და ფართო ეზოთი. ამ კარის თაღი დანგრევის პირას იყო. უკანასკნელ წლებში იგი შეაკეთეს, შეადუღაბეს, შეუნარჩუნეს თავისი გარეგანი ფორმები და დანგრევისაგან გადაარჩინეს.

ამ ეკლესიის სამრეკლო და სათვალთვალო კოშკი ერთი და იგივე კომბინირებულ ნაგებობას წარმოადგენს. ის მაღალია, რამდენიმე სართულიანი, ირგვლივ სათოფურები აქვს ამოჭრილი და ამ გაბატონებული მაღლობიდან ყოველ მხრივ იცქირება.

ეზოში ხარობს ლეღვი, ბროწეული, ქლიავი. იქვე დიდი მარანია უზარმაზარი ქვევრებით, რომელსაც თავს დასცქერის დიდი ცაცხვის ხე. მახლობლად პატარა წყარო მოჩხრიალებს. „ნაზვრევის თავიდან მოდის", ასე ამბობენ ამ წყაროს შესახებ. ჩანს ამ მაღლობზე ოდესღაც დიდი ზვრები ყოფილა გაშენებული.

სასახლის მთავარი დარბაზი მოხერხებულად არის აშენებული. მისი კარგა დიდი, ლამაზად მოყვანილი ფანჯრები, როგორც მშვენიერი გადასახედი ალაზნის ველისკენ არის მიმართული. აქედან მოჩანს ცივგომბორის მთები, ალაზნის ველზე კი ლამაზ ფერებით მოხატული ყანები და ვენახები. მარცხნივ ქინძმარაულად წოდებული დაბლობები და მარჯვნივ სოფელ შილდის მიდამოებს, რომელსაც გუნაშაური ჰქვია.

გამქრალია ქალაქი ნეკრესი. იგი გამქრალია იმ მძიმე და ბნელ ცხოვრებასთან ერთად, რომელიც ძველად, შინაური თუ გარეული მჩაგვრელებისაგან მძიმე უღლად აწვა ხალხს. გული დაბლა მიიწევს, განახლებული, საკოლმეურნეო სოფლებისაკენ, სადაც დღევანდელი აზრიანი, საქმიანი და ნათელი ცხოვრება დუღს...

**ე. ზედგინიძე**



## ვერცხლის ქალწულის თავგადასავალი

ვერცხლის ქალწული, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სეიფში ინახებოდა, დიდხანს და სერიოზულად „ავადმყოფობდა": თავზე კატასტროფიულად ეზრდებოდა ნაბზარევი. შიგნით რაღაც მასა იყო, რომელიც დროთა განმავლობაში, ალბათ, სულ დაარღვევდა რელიეფს. მეტად მძიმე მდგომარეობაში მოიტანეს ის ლაბორატორიაში.

ეს უძვირფასესი ნივთი იყო, რომელიც არქეოლოგებმა არმაზის ხევში იპოვეს. ვერცხლის თასის ფსკერზე უცნობ მხატვარს იშვიათი სილამაზის ქალწულის რელიეფი გამოეხატა. მარცხენა შიშველ მხარზე ქალწულს გადმოშვებული აქვს თხის ტყავი. ხელში გრძელი ყანწი—დოვლათის სიმბოლო უჭირავს. ყანწის კიდეებზე გადმოკიდებულია ყურძნის მტევნები, ბროწეულის აკიდოები, პურის თავთავები.

თასმა მიწისქვეშ 18 საუკუნე დაჰყო, ახლა კი ის ქიმიკოსების ხელში მოხვდა. მათ უნდა „დაესვათ დიაგნოზი" და სწრაფად „განეკურნათ სნეულებისაგან". მისი გადარჩენა აუცილებელი იყო.

მუზეუმის ქიმიკო-სარესტავრაციო ლაბორატორიის სამი თანამშრომელი—რუსუდან ბახტაძე, ცისანა აბესაძე და ნატალია ლუცენკო შეუდგნენ იმის გამორკვევას, თუ რა მასა იმყოფებოდა რელიეფის თავში, და როცა გამოარკვევდნენ, უნდა მოეშორებიათ ისე, რომ გამოხატულება არ დაზიანებულიყო.

კონსულტაციისათვის მოწვეული მეტალურგი აკადემიკოსი გ. ვ. აკიმოვი გატაცებით ეხმარებოდა ახალგაზრდა რესტავრატორებს. ლაბორატორიის მუდმივ კონსულტანტ პროფესორ თ. ნ. თევზაძესთან ერთად მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო ანალიზების შემოწმებასა და ცდების ორგანიზაციაში.

ანალიზებმა აჩვენეს, რომ ეს მასა ყოფილა ტყვიისა და კალას შენადნობი. ამ შენადნობით ამოევსოთ რელიეფი შიგნიდან სიმაგრისათვის. ვერცხლის თასის სამარხიდან ამოღების შემდეგ, შენადნობმა ჰაერის გავლენით დაჟანგვა იწყო, მოცულობა თანდათან მოემატა და რელიეფის რღვევა გამოიწვია.

რაკი ცნობილი შეიქნა მასის შემადგენლობა, შესაძლებელი გახდა მისი მოშორებაც. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ნაპოვნი იქნა ქიმიური გამხსნელი. ლაბორატორიის თანამშრომლები იმ ღამით თავს დასტრიალებდნენ ვერცხლის ქალწულს. 14 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ უშვებდნენ ისინი გამხსნელს რელიეფის ღრუში.

დილით რელიეფი განთავისუფლებულ იქნა მავნე მასისაგან. მაგრამ ის კიდევ კარგა ხნით დატოვეს ლაბორატორიაში, რეცხავდნენ, მდუღრავდნენ, თერმიულად ამუშავებდნენ, რათა აღედგინათ ლითონის წინანდელი სტრუქტურა. ამის შემდეგ ვერცხლის ქალწული ძვირფასი არქეოლოგიური ნივთების საცავს დაუბრუნდა.

ამჟამად მეცნიერები განაგრძობენ მისი წარმოშობის შესწავლას.

**ია მესხი**

# ქართული კრიპტოგრაფია

**გ. მიქაძე**

ქართულ საიდუმლო დამწერილობას (კრიპტოგრაფიას) დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი გამოყენება დამოწმებულია ჯერ კიდევ X საუკ. ძეგლებში. ქართული საიდუმლო დამწერილობის უძველეს ნიმუშად, რამდენადაც ამისი გარკვევა შესაძლებელი ხდება დღემდე შემონახული ძეგლებით, იოანე-ზოსიმეს კრიპტოგრამა უნდა ჩავთვალოთ. იოანე-ზოსიმემ 960-987 წლებს შორის სინას მთაზე გადაწერა „დასდებელთა“ წიგნი, რომლის მინაწერშიც კრიპტოგრაფიულად ჩაურთო თავისი სახელი.

საიდუმლო დამწერილობის მეორე უძველეს ნიმუშს ვხვდებით მიქელ მოდრეკილის მიერ 978-988 წლებში შედგენილ კრებულში, რომელშიც ზოგიერთ საკუთარ საგალობელს მიქელმა კრიპტოგრაფიულად წააწერა თავისი სახელი.

საიდუმლო დამწერილობას საქართველოში XIX საუკ. მეორე ნახევრამდე მიმართავდნენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს უკვე მას იყენებდნენ ძალზე იშვიათად და ისიც უფრო გასართობად.

ქართული საიდუმლო დამწერილობა საუკუნეების განმავლობაში განუწყვეტელ ცვლილებებს განიცდიდა, ერთი სისტემა იცვლებოდა მეორით, პარალელურად ჩნდებოდა რამდენიმე სისტემა და ა. შ. ამრიგად, მრავლდებოდა ქართული კრიპტოგრაფიული დამწერილობანი, რომლებიც, სამწუხაროდ, დღემდე მთლიანი სახით არ არის შენახული. მიუხედავად ამისა, გადარჩენილი კრიპტოგრაფიული დამწერილობანიც ნათლად მოწმობენ, რომ ძველად ქართველებს მრავალფეროვანი საიდუმლო დამწერილობა ჰქონიათ. ამის დასამტკიცებლად იმის აღნიშვნაც კმარა, რომ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულმა ერთ-ერთმა ქართულმა ხელნაწერმა შემოგვინახა ოცი საიდუმლო ანბანი!..

საიდუმლო ანბანს მაშინ მიმართავდნენ, როდესაც სურდათ ასეთი ანბანით ნაწერი ტექსტი გარეშე პირთათვის წაუკითხავ-გაუგებარი ყოფილიყო. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ სინას მთის ქართულ ხელნაწერს საიდუმლო ანბანით დაწერილი ტექსტის ქვემოთ გაკეთებული აქვს შემდეგი მინაწერი: „ნეტარ რას იტყვის ესე ზემო ასოები, არა ვიცი, თავისით უც“.

საიდუმლო ანბანის საშუალებით ხელნაწერთა გადამწერნი თუ ავტორები უმეტესად თავიანთ ვინაობას მალავდნენ, და მათ ამჟამად ლიტერატურაში გავრცელებული ფსევდონიმების ხასიათი ჰქონდათ. მაგალ., 1816 წლის ერთ ხელნაწერს ასეთი მინაწერი აქვს: „მეცა მეოხ მეყავ მჩხაბავსა ამისსა



მოყვანილ კრიპტოგრამაში იმალება გადამწერის ვინაობა: „გიორგის“.

ქართულ ხელნაწერებზე მომუშავე პირნი, რომელთაც თავმდაბლობის, მოკრძალების გამო არ სურდათ ყველასთვის ცნობილი გაეხადათ თავიანთი სახელი. არაიშვიათად, საიდუმლო დამწერილობის საშუალებით მალავდნენ ვინაობას. ასე, მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ერთ ხელნაწერს გაკეთებული აქვს თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერი: (იხ. ხელნაწერის ფოტორეპროდუქცია.)

მოყვანილი კრიპტოგრამა, რომელიც დოც. ა. გრიგოლიამ ამოშიფრა, იკითხება ასე: „ქე შემიწყალე. ქ. ამაღლებულისა მეფის გიორგის ძემან თეიმურაზ ვინათხოვრე წიგნი ესე ქართველთ ცხოვრება მაღალ ღირსის წინამძღვრის ევთუიმისაგან ჟამსა მას, რაჟამს ვიყავ ათჩვიდმეტისა წლისა და დავსწერე ესე დღესა სამშაბათს, თვესა სეკდემბერსა იგ (13), ქნს უპზ (487), წელსა ჩღპთ (1789)“.

ხშირად წიგნის მფლობელი ან გადამწერი საიდუმლო ანბანით შედგენილ ხელნაწერს ურთავდა სხვადასხვა სახის მინაწერებსაც. „ბარამიანის“ მფლობელი ხელნაწერის გადამწერს მიმართავს:



რაც შემდეგნაირად იკითხება: „ჩემო მაიავ, ასე დაწერე“.

ერთ ხელნაწერ კრებულს ასეთი მინაწერი აქვს დართული:



მოყვანილი კრიპტოგრამა ასე უნდა წავიკითხოთ: „ხელმწიფეო ჩემო (მაია), რა არის, რომ ჩემს ზმას (მაიას) არ სწყალობთ და უწყალოს ტანჯვითა სტანჯავ. მარა ავასხე უფალსა და განიკითხე“.

საიდუმლო ანბანით წერდნენ სამხედრო-პოლიტიკური საიდუმლო ხასიათის შენიშვნებსაც. იყენებდნენ მას აგრეთვე დიპლომატიური მიმოწერის დროს (ჟ. „დროშა“ 1951 წ., № 3).

საიდუმლო დამწერილობათა ამოკითხვა ბევრს საინტერესოსა და ახალს მოგვცემს ძველი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხების გასარკვევად.

ხელნაწერის ფოტორეპროდუქცია



# კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:**

9. გამოჩენილი რუსი მოქანდაკე. 10. დიდი რუსი მხატვარი. 11. ზეიმური კილოთი წარმოთქმული აზრი, გრძელი ფრაზა. 12. ლითონი. 13. სპეციალობა, დარგი. 14. უფროსი თანამდებობის პირთა საერთო სახელწოდება არმიაში. 15. ამაღლებული ადგილი დარბაზში — მსახიობისათვის, ორატორისათვის. 17. საკრავი ინსტრუმენტების ერთობლიობა. 20. ცხოველის წებო. 22. მსხვილი კაპიტალისტი. 23. შედარება, შეპირისპირება. 24. სხვადასხვა სიდიდეთა შეფარდების თვალსაჩინოდ მაჩვენებელი ნახაზი. 28. მატერიალური სხეულის ერთ-ერთი ძირითადი თვისება. 31. წინასწარდაშვება, რომლის საფუძველში პოულობს ახსნას მოვლენათა რიგი. 32. სახელგვარის ან სხვა სახელწოდების დასაწყისი ასოები. 35. სპორტის ერთ-ერთი სახე. 36. მინდობილობით რისამე ყიდვა-გაყიდვა მორიგების თანახმად. 38. სევდიანი ლირიკული ლექსი. 39. უშუალოდ და თავისთავად აშკარა ჭეშმარიტება. 40. მოდელი, ნიმუში. 41. კონცერტებისა და საოპერო წარმოდგენების მომწყობი კაპიტალისტურ ქვეყნებში. 42. სითხის განმწოვი ხელსაწყო.

**ვერტიკალურად:**

1. ძველებური ნივთების მცოდნე და ამ ნივთებით მოვაჭრე. 2. გამოჩენილი იტალიელი მწერალი. 3. დახელოვნებული მომღერალი. 4. მინა ოპტიკის ხელსაწყოში. 5. უზარმაზარი ქვიშიანი საძოვარი ვაკეები სამხრეთ ამერიკაში. 6. ხელნაწერის დედნის აღდგენა. 7. თამბაქოს ხმელი ფოთლის ასხმულა. 8. მუსიკალური ინსტრუმენტი, საკრავი. 16. ბაქოში ცნობილი ბოლშევიკური არალეგალური სტამბა მეფის დროს. 18. აკრძალვა, უცხოელ სავაჭრო გემთა დაკავება ნავთსადგურში. 19. დიდი მონარქიული სახელმწიფოს ტიტული. 20. მთა კავკასიონის ქედზე. 21. ცნების აღმნიშვნელი სიტყვა მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ტექნიკაში. 25. სიტყვის ერთ-ერთი თავსართი ნაწილაკი. 26. ცხოველი. 27. ბგერის გასაძლიერებელი ხელსაწყო. 29. ძვირფასი რბილბეწვიანი ცხოველი. 30. ასაწევი მანქანა. 33. ხელფეხის მოძრაობის, სხეულის წონასწორობის მოშლა. 34. მსოფლიო, სამყარო. 35. ღვინის სახელწოდება. 37. განდეგილი, მეუდაბნოე.

## პასუხი ჟურნ. „დროშის“ № 5-ში მოთავსებულ კროსვორდზე

**ჰორიზონტალურად:**

1. ასული. 3. იერი. 5. ოსლო. 10. შიმშა. 11. კუბა. 13. გეიშა. 14. გერმა. 15. ალამი. 17. იპრიტი. 18. ინა. 26. ტბა. 28. გოდერძი 29: ირონია: 30: ა[illegible]კი. 31. უფა. 37. დეა. 38. არწივი. 39. ისანი. 40. იბნ. 41. ნარდი. 42. ას[illegible] 44. გოჯი. 45. ის. 46. სერია. 47. აბრა. 48. ავაზა. 52. გრამი. 53. ქარ[illegible] 54. გნოლი. 55. ჩირი. 57. სეიფი. 58. იარა.

**ვერტიკალურად:**

1. უთო. 4. ეხო. 6. ლია. 7. ტატრა. 8. აგავი. 9. იშო. 11. კოკა. 1[illegible] ტი. 16. ასკილი. 19. ასტმა. 20. ალაფი. 21. გოდარა. 22. არფა. 23. [illegible] 24. ლამა. 25. აკორდი. 27. არზა. 31. ურნა. 32. ადლი. 33. ავი. 34. [illegible] 35. ანი. 36. იონი. 43. აბატი. 46. სირია. 48. ამაგი. 49. ურო[illegible] 51. ალო. 55. ჩაი. 56. ინა.


რედაქტორი — გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშ[illegible] დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91. ტელ. 3-95-38 | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/V-53 წ. გამომც. № 452 ფასი 3 მან. ნაბეჭდი ფურც. 3½ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 304 უე 04430

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

გამომცემლობა „კომუნისტი“. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ბედნიერი ოჯახი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამარ აბაკელია

ქართველ მხატვართა რიგებს გამოაჩნდა ფართო დიაპაზონის უაღრესად ნიჭიერი შემოქმედი, რომელმაც არა ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შესძინა ქართულ მონუმენტურ ქანდაკებას, ფერწერას, გრაფიკასა და თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებას.

თამარ აბაკელიას ეკუთვნის მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ჰორელიეფები აბაკელიას ეს ნამუშევარი წარმოადგენს ახალი თბილისის ამ შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლის მშვენებას.

სამამულო ომის წლებში თ. აბაკელიამ შექმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისა, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია „შურს ვიძიებთ“ და „კავკასიის დაცვა“. მოქანდაკის დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა უკრაინის ხალხის შესანიშნავი კლასიკოსის, პოეტი ქალის ლესია უკრაინკას პორტრეტი, რომელიც სურამშია დადგმული.

თ. აბაკელია იყო წიგნის მხატვრული ილუსტრაციის ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი.

თ. აბაკელია წარმატებით მუშაობდა თეატრსა და კინოშიც.

უკანასკნელ ხანებში თ. აბაკელია მუშაობდა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბარელიეფებზე (საქართველოს მთავრობის სასახლის სხდომათა დარბაზისათვის) და ნ. ბარათაშვილის ძეგლის პროექტზე.

მეორე გვერდზე თ. აბაკელიას „აბესალომ და ეთერი“.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ფრიზ-ჰორელიეფი





ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. აბაკელიას „აბესალომ-და ეთერი“



თბილისი. ორთაჭალჰესის მშენებლობაზე

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

საჯარო ბიბლიოთეკა

ფასი 3 მან.



ეროვნული
ბიბლიოთეკა